ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

საფინანსო კომპანია „საქართველო“ და მისი დაზარალებულები „რუსთავი 2“-სგან 70 მილიონს ითხოვენ

გვ.7

28 მაისიდან

მარკ ტვენი

ტომ სოიერის თავგადასავალი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ოთხშაბათი, 29 მაისი, 2019 №125 (8079) ფასი: 60 თეთრი

დღეს სააკაშვილი უკრაინაში ჩავა

როდის დაბრუნდება საქართველოში?

გვ.3

ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილი, შესაძლოა, ზელენსკის მრჩეველი გახდეს“

გვ.3

გვ.5

დავით ზურაბიშვილი: „დავითგარეჯის პრობლემა ბიძინა ივანიშვილმა ილხამ ალიევთან უნდა მოაგვაროს“

„სალომე ზურაბიშვილი რუსეთის გავლენის აგენტია“

პაატა დავითაია: „საქართველო 60%-ით უკვე რუსეთის საკუთრებაა“

გვ.2

კახა კუკავა: „დიდი იმედი მაქვს, 90-იან წლებში არ დავბრუნდებით“

გვ.4

გვ.5

შოთა მალაშხია: „გაერთიანებული ოპოზიცია თავის 43%-იან მხარდაჭერას 50%-მდე გაზრდის“

„სოციალური დუღილი დაწყებულია“

სამართალი გვ.7

ოთარ ფარცხალაძე თავის სასამართლოზე არ მივიდა

პოლიციელი კონსტანტინე ქოჩიშვილი 16 წლის ბიჭის ცემისთვის დააკავეს

თელავში ავარიის შემდეგ მოცურებული მანქანა ქვეით მამაკაცს დაეჯახა და მოკლა

ეკონომიკა გვ.6

როგორ ხორციელდება ხელისუფლების მიერ დაანონსებული ინფრასტრუქტურული პროექტები აჭარაში

„17 ათას ლარამდე თანხა მომპარეს ანგარიშიდან, ბანკი კი ყველანაირ პასუხისმგებლობას იხსნის“

გვ.4

შვეიცარიის პოლიცია ერთ კვირაში საქართველოში შეკერილ უნიფორმებს ჩაიცვამს

გვ.4

ISSN 1987-9385

7 გორში მანქანა მეხუთეკლასელ გოგონას დაეჯახა

6 კრიზისი ვენესუელაში — რას ვერ თმობენ კრემლი და რუსი მაგნატები

8 ბუნტი ოდესის კოლონიაში

7 ტყიბულში ქვანახშირის კარიერში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

„სალომე ზურაბიშვილი რუსეთის გავლენის აგენტია“

პაატა დავითაია: „საქართველო 60%-ით უკვე რუსეთის საკუთრებაა“

შორენა მარსაგიშვილი

რა მიზანს ემსახურება საქართველოში როსნეფტისა და გაზპრომის შემოყვანა, ვინ და როგორ გეგმავს აფხაზეთის რკინიგზის გახსნას, ვინ არიან მთავრობაში რუსეთის გავლენის აგენტები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი **პაატა დავითაია** ესაუბრება.

– ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ აზერბაიჯანთან ურთიერთობის დაძაბვა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის დამსახურებაა. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

– ამ მიმართულებით სულ სხვა სურათს დაგიხატავთ, სადაც სიტუაციის დაძაბვაში სალომე ზურაბიშვილი ერთი ჩვეულებრივი ჭანჭიკია.

საზღვრების თემაზე ბევრი მაქვს ნამუშევარი და კარგად ვიცი ეს თემა. ერთადერთი ქვეყანა სამეზობლოში, რომელთანაც სასაზღვრო პრობლემები არ გვაქვს, არის თურქეთი. საბჭოთა კავშირის დროს ამ ქვეყანასთან უკვე დადგენილი იყო საზღვრები და მისი დაშლის შემდეგ საზღვრები უცვლელი დარჩა. სამაგიეროდ, სხვა მეზობელ ქვეყნებთან შეგვექმნა სახელმწიფო საზღვრის დადგენაზე პრობლემები.

იმისთვის, რომ რაღაც დამატებითი პრობლემები არ შექმნილიყო, საქართველოს ყველა ხელისუფალი ერიდებოდა ამ საკითხის გააქტიურებას. სახელმწიფო საზღვრების მიმართულებით არც რუსეთთან, არც აზერბაიჯანთან და არც სომხეთთან არანაირი სერიოზული ხელშეკრულება გაფორმებული არ არის. ამის გაკეთებას ყველა მმართველი არიდებდა თავს.

დავითგარეჯს რაც შეეხება, ის არის საქართველოს ნაწილი და ეს ყველამ იცის. აზერბაიჯანელი ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ შეიძლებოდა ეს ძეგლი მათი ყოფილიყო. რადგან ასეთი მოსაზრება გაჩნდა, თავის დროზე ჰეიდარ ალიევმა ძალიან დიდი ეშმაკობა იხმარა.

ქართული მხარე მზად იყო, რომ დავითგარეჯის სანაცვლოდ აზერბაიჯანისთვის სხვა ტერიტორია დაეთმო. ზუსტად ამ პერიოდში ალიევმა შეცვალა კონსტიტუცია, სადაც ჩაიწერა, რომ აზერბაიჯანს სახელმწიფო საზღვრის შეცვლა მხოლოდ რეფერენდუმით შეუძლია.

დავითგარეჯის სადავო ნაწილის საქართველოსთვის დაბრუნება რომ მოხდეს, ამაზე ჩვენს მეზობელ ქვეყანაში რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს. საზღვრის გადაწევას არც ერთი აზერბაიჯანელი მხარს არ დაუჭერს.

ამ ეშმაკობაზე ქართულმა მხარემ რეაგირება არ მოახდინა. სამაგიეროდ, ბაქოსთან შედგა შეთანხმება, რომ ამ თემის გამწვავება არ მოხდებოდა. დავითგარეჯის სადავო ტერიტორიაზე ჩვენი სასულიერო პირებიც უპრობლემოდ ადიოდნენ და მომლოცველებიც.

ორივე მხარე შეთანხმებული იყო იმაზე, რომ ამ მიმართულებით სიტუაცია არ დაიძაბებოდა.

– სიტუაციის არდაძაბვაში რა იგულისხმებოდა?

– ის, რომ ამ მიმართულებით არც ერთი მხარე განცხადებას არ გააკეთებდა. ეს შეთანხმება სალომე ზურაბიშვილმა დაარღვია.

– რაში დასჭირდა სალომე ზურაბიშვილს სიტუაციის დაძაბვა?

– ვიდრე ამ კითხვაზე გაგცემთ პასუხს, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ აზერბაიჯანი არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი. მაშინ როცა რუსეთმა სერიოზული ენერგეტიკული პრობლემები შეგვიქმნა, აზერბაიჯანი ღიად დაგვიდგა გვერდით.

2006 წლის იანვარში რუსეთმა ის გაზსადენი აგვიფეთქა, რომლითაც საქართველოს გაზი მიეწოდებოდა. მოსკოვს ჩვენზე ზეწოლის განხორციელება სურდა, მაგრამ აზერბაიჯანი გვერდით დაგვიდგა. მან მოგვაწოდა გაზი და რუსეთს ეს ზეწოლა აღარ გამოუვიდა.

2008 წელს აზერბაიჯანმა ღიად არა, მაგრამ ძალიან სერიოზულად დაგვიჭირა მხარი.

– აგვისტოს ომის დროინდელ მხარდაჭერაზეა საუბარი?

– დეტალებს ვერ გეტყვით, მიუხედავად იმისა, რომ დეტალურად ვიცი ამის შესახებ. ეს არის გრიფით „საიდუმლო“ მასალა და ამაზე ღიად საუბარი არ შეიძლება. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მაშინ აზერბაიჯანი გვერდით ისე დაგვიდგა, როგორც ძმა.

მოგეხსენებათ, რომ შევარდნაძე და ჰეიდარ ალიევი მეგობრობდნენ. ის ფული, რომელსაც ახლა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან ვიღებთ, ალიევმა, ფაქტობრივად, გვაჩუქა.

მერე შემოვიდა საქართველოში სოკარი. 2024 წელს ბიპი-ს უწყდება კონტრაქტი და ამ ნავთობსადენის მფლობელი ხდება სოკარი, ანუ აზერბაიჯანი. კონფლიქტიც იწყება აქედან.

რუსეთს ძალიან უნდა ამ ბაზარზე შემოსვლა. მათ იყიდეს ტერმინალი, რომელიც, წესით, მათთვის არ უნდა მიგვეყიდა.

ამ სიტუაციაში აზერბაიჯანი კიდევ იმიტომ არის პრობლემატური, რომ ის რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით ქმნის პრობლემას.

– აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე საუბრობთ?

– დიახ. საქართველო და რუსეთი მზად არიან ამ რკინიგზის გასახსნელად. ამ მიმართულებით სიტუაციას ბაქო ძაბავს და ის უშლის ხელს ამ რკინიგზის გახსნას. დღეს ქართულ საქმეს აზერბაიჯანი აკეთებს.

– რატომ უშლის ხელს ბაქო ამ რკინიგზის გახსნას?

– ამ რკინიგზის გახსნის შემთხვევაში ყარაბაღში სიტუაცია დაიძაბება, რაც აზერბაიჯანის ინტერესებში არ შედის. ის იცავს თავის ინტერესებს და ამით აკეთებს ქართულ საქმესაც.

რუსეთი უკვე იძულებულია, სერიოზულად დაიწყოს მოქმედებები. მრავალი წლის განმავლობაში ეცადა, ბაქო და თბილისი ერთმანეთთან დაეპირისპირებინა, მაგრამ აქამდე ეს არ გამოუვიდა.

– რატომ არ გამოუვიდა?

– ჰეიდარ ალიევი და შევარდნაძე მეგობრობდნენ და ერთმანეთს ძმებს უწოდებდნენ. კარგად იყვნენ ერთმანეთში სააკაშვილი და ილჰამ ალიევიც.

ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ სიტუაციის დაძაბვა დაიწყო. გავიხსენოთ, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი. ივანიშვილმა ჯერ რკინიგზის გახსნაზე გააკეთა განცხადებები, მერე ის თქვა, რომ მისთვის სომხეთი არის მისაბაძი მაგალითი.

ეს განცხადებები ივანიშვილმა პრემიერის რანგში გააკეთა და ამას ბაქოსგან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა.

მერე რუსეთს ნელ-ნელა დაუკმაყოფილეს გაზისა და ნავთობის სფეროში ინტერესები. ამან კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება. ქართულმა მხარემ ესეც არ იკმარა და რამდენიმე თვის წინ ახალქალაქში ყარაბაღის ომის მონაწილეს, სომხეთის ეროვნულ გმირს, ძეგლი დაუდგეს.

– ეს მართლა კატასტროფა იყო, მაგრამ „ოცნებამ“ თავი იმით იმართლა, იმ ბოევიკს თანასოფლელებმა დაუდგეს ძეგლი.

– ეს არ იყო თანასოფლელების მიერ ძეგლის დადგმა. ამ ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის ორი წევრი ესწრებოდა. ამან ოფიციალური ბაქო ძალიან გააღიზიანა.

ასეთი რამე წინა მთავრობების დროს რომ

„დეტალებს ვერ გეტყვით, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომში აზერბაიჯანი ძალიან დაგვიდგა გვერდით“

მომხდარიყო, ძეგლის აღმმართველს ციხეში ჩასვამდნენ, როგორც კონფლიქტის გამღვივებელს.

ამას მოჰყვა სოკარისთვის ფინანსური პრობლემების შექმნა. კომპანიაში ფინანსური პოლიცია შევიდა.

ამის ფონზე საქართველოს პრეზიდენტი ჩადის დავითგარეჯში, აკეთებს განცხადებას და ქმნის პრობლემას.

მის მიერ გაკეთებული განცხადება არ არის სისულელე. ეს არის მიზანმიმართული ქმედება, რომლის მიზანიც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის დაძაბვაა.

თბილისსა და ბაქოს შორის იმდენად უნდა დაიძაბოს ვითარება, რომ ენერგეტიკული თვალსაზრისით რუსეთზე დამოკიდებულები გავხდეთ და, როცა რუსეთს ჩვენზე ზეწოლის განხორციელება მოუნდება, აზერბაიჯანი ჩვენ გვერდით აღარ დადგება.

ვინც ამ ყველაფერს ხელს უწყობს, მასზე პირდაპირ შემიძლია იმის თქმა, რომ ის არის რუსეთის გავლენის აგენტი.

– სალომე ზურაბიშვილი რუსეთის აგენტია?

– ყველა, ვინც ამ მიმართულებით სიტუაციას ძაბავს, არის რუსეთის გავლენის აგენტი. სხვა დასკვნა ამას არა აქვს. იმას არ ვამტკიცებ, რომ ვინმე რუსეთის პირდაპირი აგენტია, მაგრამ გავლენის აგენტები ხელისუფლებაში მრავლად არიან.

როცა ამ ინტერვიუს ვწერთ, უამრავი ადამიანი მიემართება დავითგარეჯისკენ. ეტყობა, ძალიან ბევრმა მათგანმა არ იცის, როგორ იწყება კონფლიქტები. მე ეს ბევრჯერ მაქვს ნანახი. სპეცსამსახურები აწყობენ პროვოკაციას. იწყება კონფლიქტი და მერე უკვე მორჩა ყველაფერი.

– ზემოთ თქვენ აფხაზეთის რკინიგზის გახსნა ახსენეთ. ამაზე საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლება აქტიურად მუშაობენ. აქამდე მისი გახსნა ვერ მოხერხდა. მომავალში რა იქნება?

– აქამდე არ გამოუვიდათ, მაგრამ, თუ აზერბაიჯანთან სიტუაცია სერიოზულად დაიძაბება, ამ თემაზე აქტიურ მუშაობას დაიწყებენ.

ეს ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ნურავის ჰგონია, რომ დაპირისპირება ვიღაცის წამოროშილზე დაიწყო.

– საქართველოს აზერბაიჯანთან კონფლიქტი არ აწყობს, აზერბაიჯანს თუ აწყობს ჩვენთან დაპირისპირება?

– არც მათ არ აწყობთ ეს დაპირისპირება და ამიტომაც იყო, რომ ისინი ბევრჯერ დაგვიდგნენ გვერდში.

– მაშინ რატომ მოდიან ისინი გამწვავებაზე? ჩვენს ხელისუფლებაში გავლენის აგენტები არიან, იქით რაღა ხდება?

– ბაქო არც მიდის გამწვავებაზე. მათ გვთხოვეს, რომ არ გავამწვავოთ. ჩვენებმა დაიწყეს სისულელეები და იქითა მხარემაც რეაქცია მისცა. ჩვენც მივცემდით რეაქციას.

– დარწმუნებული ხართ, რომ ჩვენც გვექნებოდა რეაქცია?

– რა თქმა უნდა.

– რუსეთი ლამის ყოველდღე სწევს ე.წ. საზღვარს, ჩვენივე ტერიტორიიდან იტაცებენ ჩვენს მოქალაქეებს და არც ამაზე იღებენ ხმას. მეეჭვება, ხელისუფლებას რამეზე ჰქონდეს რეაქცია.

– მე ხელისუფლებაზე არც მაქვს საუბარი. იმ ხელისუფლებას რა რეაქცია უნდა ჰქონდეს, რომელსაც მტირალა მინისტრი ჰყავს. ტირილ-ტირილში დავით ზალკალიანმა ისიც კი ვერ გაიგო, რომ აზერბაიჯანულ მხარეს გზა გაჰყავდა.

ქვეყანას ჰყავს მტირალა საგარეო საქმეთა მინისტრი და მისგან ითხოვთ, რომ აზერბაიჯანთან სიტუაცია დაალაგოს. რომელიც სომხეთთან საომარ მდგომარეობაშია, ამდენი წლის განმავლობაში იმხელა გამოცდილება შეიძინეს, რომ ყარაბაღის დამოუკიდებლობა არ აღიარა არავინ.

– ყარაბაღი არ აღიარეს, მაგრამ, სამაგიეროდ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით მიდის აქტიური მუშაობა აღიარების თვალსაზრისით.

– რატომ გიკვირთ, საქართველოს ხელისუფლებას საერთოდ აღარ აინტერესებს არც აფხაზეთი და არც ცხინვალის რეგიონი.

აბა დააკვირდით, როგორც პოლიტიკოსი, აფხაზეთზე არაფერს ვიტყვი და ამ თემაზე არავინ ლაპარაკობს.

– თქვენ რატომ აღარ ლაპარაკობთ?

– სპეციალურად არ ვიღებ ხმას, მაინტერესებს, სხვა რას იზამს, ან როდის მიხვდებიან, რომ ამ თემაზე საუბარია საჭირო.

რამდენიმე დღის წინ იტალიაში აფხაზებმა დიდი გამოფენა მოაწყვეს. მთელი სავაჭრო პალატა იყო იქ ჩასული. აფხაზებს იმ ქალაქის მერი შეხვდა, სადაც ეს ღონისძიება გაიმართა. ვინმემ იცის, რომ ასეთი რამე მოხდა? მე ვიცოდი, მაგრამ სპეციალურად არ ამოვიღე ხმა.

ახლახან აფხაზეთში სლოვაკეთიდან და უნგრეთიდან ჩავიდნენ სპეციალისტები, რომ აქაურობის ტურისტული პოტენციალი შეისწავლონ. არც ამაზე იღებენ ხმას, მეც გაჩუმებული ვარ.

– მოდით, ისევ რუსულ ინტრიგებს დავუბრუნდეთ, აქამდე რუსეთმა სადაც მოინდომა არევა, აურია. დაგვაპირისპირებს აზერბაიჯანთან?

– მონდომების შემთხვევაში შეიძლება ამ დაპირისპირების გაყინვა. წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით.

– მონდომების შემთხვევაში ყველაფრის გაკეთება შეიძლება, მაგრამ უნდა „ოცნებას“ ამ სიტუაციის გამოსწორება?

– ხელისუფლება იქცევა ისე, რა დავალებაც აქვთ რუსული გავლენის აგენტებს და თუ მოსკოვის დავალებების შესრულებას გააგრძელებენ, ძალიან სერიოზულ პასუხს მიიღებენ. ეს ასე მარტივად არ დასრულდება.

– ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება საქართველო რუსეთის ხახაში?

– ცალსახად მინდა გითხრათ, რომ 60%-ით უკვე იქ ვართ. რუსეთის მოქმედებები ამ შემთხვევაში არის სწორი. ეს არის საქართველოს დაპყრობის მექანიზმი. გვიძაბავს სიტუაციას მეზობლებთან. მათზე ენერგეტიკულად და ფინანსურად ვხდებით დამოკიდებული. ყოველთვის გასროლა კი არ არის საჭირო.

ამ გეგმას რუსეთის უშიშროების საბჭო 2006 წელსაც განიხილავდა, როცა იანვარში გაზსადენი აგვიფეთქეს. მაშინ მიხვდნენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებასთან ეს გეგმა არ გავიდოდა და 2008 წელს დაიწყეს ომი.

ახლა ჩვენ დასაპყრობად ომი საჭირო უკვე აღარ არის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დღეს სააკაშვილი უკრაინაში ჩავა

როდის დაბრუნდება საქართველოში?

შორენა მარსაგიშვილი

ზუგდიდის შუალედურ არჩევნებში გამწარებულ ნაციონალებს ბედისწერამ საჩუქრად უკრაინის პრეზიდენტი მოუვლინა. ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოს მესამე პრეზიდენტს უკრაინის მოქალაქეობა დაუბრუნა.

უკრაინის სასაზღვრო სამსახური აცხადებს, რომ სააკაშვილს საზღვრის გადმოკვეთაში ხელს არ შეუშლის.

უკრაინის მოქალაქეობით აღჭურვილი ჩვენებური კიევში ჩასვლას დღეს, 29 მაისს, აპირებს.

საქართველოს მესამე პრეზიდენტს უკრაინის მოქალაქეობა 2017 წლის ზაფხულში ჩამოართვეს. იმ დროისთვის ჩვენებური ამერიკაში იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით.

იმის გამო, რომ მოქალაქეობა წართმეული ჰქონდა, კიევში დაბრუნება რამდენიმე თვე ვერ მოახერხა. პასპორტის გარეშე დარჩენილმა ზაფხულის ნახევარი პოლონეთში, ბელგიასა და აშშ-ში გაატარა.

სექტემბერში მან უკრაინაში შეჭრა გადაწყვიტა. ის უკრაინაში პოლონეთიდან შევიდა. მის დასახვედრად საზღვარზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ უკრაინის რადის წევრებიც.

ხალხის დახმარებით სააკაშვილმა საზღვრის გარღვევა ცადა და უკრაინის ტერიტორიაზე შევიდა, სადაც რამდენიმე თვე მართავდა მიტინგებს. უკრაინელმა სამართალდამცავებმა ის რამდენჯერმე დააკავეს. ერთ-ერთი დაკავების დროს სახურავზეც კი აიჭრა, საიდანაც სპეცრაზმმა ძლივს ჩამოიყვანა.

პირველ ცდაზე მისი გისოსებს მიღმა გამომწყვდევა არ მოხერხდა. მომხრეებმა მისი გათავისუფლება შეძლეს. მეორე ცდაზე უკრაინელებმა უკვე დააკავეს ჩვენებური და უშიშროების იზოლატორში გაამწესეს. ამას გამოსვლები მოჰყვა და ის გაათავისუფლეს. მას შინაპატიმრობაც ჰქონდა მისჯილი.

2018 წლის 12 თებერვალს უკრაინელმა სამართალდამცავებმა კიდევ ერთხელ შეიპყრეს საქართველოს მესამე პრეზიდენტი. მისი დაკავება რესტორან „სულუგუნში“ მოხდა.

პოროშენკოს ხელისუფლებამ ამჯერად მისი გისოსებს მიღმა გამომწყვდევა გადაიფიქრა და გადაწყვიტა სამშობლოში – საქართველოში განეხორციელებინა მისი დეპორტაცია.

თვითმფრინავმა, რომელშიც საქართველოს მესამე პრეზიდენტი იჯდა, თავიდან საქართველოსკენ აიღო გეზი, მაგრამ საქართველოდან უთხრეს, რომ ამ თვითმფრინავს დაჯდომის უფლებას არ მისცემდნენ.

ამის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ გაავრცელა. კუპრავა ახლა ციხეში ზის. მას სხვისი თეფშიდან ჭამის გამო სჯიან.

რაც შეეხება სააკაშვილს, საქართველოდან მიღებული უარის შემდეგ ის პოლონეთში მიადეპორტეს.

საქართველოს ხელისუფლება მანამდე სულ ამტკიცებდა, რომ უკრაინულ მხარეს მესამე პრეზიდენტის ექსტრადირებას სთხოვდა.

ეს რომ ტყუილი იყო, ამაში ერი ჯერ კიდევ მაშინ დარწმუნდა, როცა საქართველოს იმდროინდელი შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი რუსმა სატელეფონო ხულიგნებმა ააგდეს.

მღებრიშვილს რუსმა პრანკერებმა უკრაინის შს მინისტრ არსენ ავაკოვის სახელით დაურეკეს. ჩვენებურმა ავაკოვის პაროდიის შემსრულებელს სთხოვა, რომ სააკაშვილი საქართველოსთვის არავითარ შემთხვევაში არ გადმოეცათ.

ამ საუბრის ჩანაწერის გავრცელებას დიდი სკანდალი მოჰყვა. ყველა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საოცნებო ხელისუფლება სააკაშვილის საქართველოში ჩამოყვანას არ დათანხმდებოდა.

> **„უკრაინაში ჩვენი პროგრესის მტრები და ჩემი მტრები დამარცხდნენ ამ ეტაპზე და ზუსტად ასე დამარცხდებიან საქართველოში. ამაში ვარ დარწმუნებული. მე ერთი წამით არ დამიკარგავს რწმენა ჩვენი გამარჯვებისა და ჩვენი საქმის გამარჯვებისა უკრაინაში“**

პეტრო პოროშენკოსთვის სამაგიეროს გადახდის შანსი სააკაშვილს თითქმის ორ წელიწადში მიეცა. ცოტა ხნის წინ უკრაინელებმა პრეზიდენტად ვოლოდიმირ ზელენსკი აირჩიეს, რომელიც ჩვენებურის მიმართ დადებითად არის განწყობილი.

მიმდინარე წლის 22 მაისს მიხეილ სააკაშვილმა წერილით მიმართა ვოლოდიმირ ზელენსკის, დაებრუნებინათ მისთვის უკრაინის მოქალაქეობა. წერილში მოქალაქეობის ჩამორთმევის გადაწყვეტილებას სააკაშვილი უკანონოს უწოდებდა, ვინაიდან, მისი თქმით, უკრაინის კონსტიტუცია კრძალავს არსებული მეთოდით მოქალაქეობის ჩამორთმევას.

სააკაშვილის განცხადებით, საერთაშორისო სამართლით არ შეიძლება ადამიანის მოქალაქეობის გარეშე დატოვება.

გუშინ, 28 მაისს, ცნობილი გახდა, რომ ზელენსკიმ საქართველოს მესამე პრეზიდენტს უკრაინის მოქალაქეობა დაუბრუნა.

უკრაინის მოქალაქეობის აღდგენის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა პირველი კომენტარი გააკეთა და ზელენსკის მადლობა გადაუხადა.

მისი თქმით, უკრაინაში მისი დაბრუნება არ ნიშნავს, რომ საქართველოში გამარჯვებაზე უარს იტყვის. საქართველოს მესამე პრეზიდენტი ამბობს, რომ, პირიქით, ის ახლა უფრო ახლოს იქნება ქართველ ხალხთან.

– უკრაინაში ჩვენი პროგრესის მტრები და ჩემი მტრები დამარცხდნენ ამ ეტაპზე და ზუსტად ასე დამარცხდებიან საქართველოში. ამაში ვარ დარწმუნებული. მე ერთი წამით არ დამიკარგავს რწმენა ჩვენი გამარჯვებისა და ჩვენი საქმის გამარჯვებისა უკრაინაში. რა თქმა უნდა, ჩემი მთავარი საზრუნავი, მე ვარ მთავარი ჭირისუფალი საქართველოსი და საქართველოს წარმატების მთავარი გულშემატკივარი. ქართველ ერს, ქართველ ხალხს ტყუილად ნუ მოუყვებიან ქოცები, რომ უკრაინაში დაბრუნებით საქართველოზე ვამბობ უარს. მე საქართველოსთან ბევრად ახლოს ვიქნები, ბევრად ახლოს ქართველ ხალხთან, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სააკაშვილისთვის წართმეულის დაბრუნებას საქართველოში დიდი ამბები მოჰყვა. ნაცები ზეიმობენ, ქოცები ზელენსკის ქოქოლას აყრიან.

საზოგადოებას კი აინტერესებს, დაბრუნდება თუ არა სააკაშვილი საქართველოში. საქართველოში დაბრუნება მან შეიძლება არ იჩქაროს. ზელენსკიმ ცოტა ხნის წინ რადა დაითხოვა და სააკაშვილი, სავარაუდოდ, რადის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილი, შესაძლოა, ზელენსკის მრჩეველი გახდეს“

იაგო ნაცვლიშვილი

უკრაინის მოქმედმა პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ საქართველოს მესამე პრეზიდენტსა და ოდესის ოლქის ყოფილ გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს მოქალაქეობა აღუდგინა. ზელენსკიმ წინასაარჩევნოდ დადებული პირობა შეასრულა. შესაბამისი ბრძანება ვლადიმერ ზელენსკიმ გასცა, რომელიც უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

როგორ შეიძლება, განვითარდეს პროცესები და როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა ფაქტმა საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფოებრივ ურთიერთობებზე? – ამის შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს:

– დადასტურდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილს დაუბრუნეს უკრაინის მოქალაქეობა. პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით?

– არ არის გამორიცხული, რომ ზელენსკიმ რაიმე თანამდებობაზეც მიიწვიოს სააკაშვილი, მაგალითად, პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობაზე, რათა მან გარკვეული მხარდაჭერა აღმოუჩინოს უკრაინის ახლად არჩეულ პრეზიდენტს რეფორმების განხორციელების პროცესში, ან, უბრალოდ, არც ის არის გამორიცხული, რომ ზელენსკის ეს გადაწყვეტილება სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. შესაძლოა, ზელენსკი თვლის, რომ პოროშენკოს გადაწყვეტილება, როდესაც მან სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვა, უკანონო იყო და ამიტომ დაუბრუნა მას მოქალაქეობა.

ეს ორი ვარიანტია – ან სიმბოლურ ხასიათს ატარებს, ან ზელენსკი დაინტერესებულია, რომ სააკაშვილმა მასთან იმუშაოს და მას არ გაეპაროს სხვადასხვა სახის შეცდომა პრეზიდენტობისას, ვინაიდან სააკაშვილს ამ მხრივ გამოცდილება აქვს.

– რაც შეეხება იმას, როგორ შეიძლება განვითარდეს ამ გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობები, ამაზე რა მოლოდინი გაქვთ?

– რაც შეეხება აღნიშნულ ურთიერთობებს, სამწუხაროდ, შესაძლებელია, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა არა საზელმწიფო ინტერესები დააყენონ უფრო მაღლა, არამედ პარტიული ინტერესები. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული პრეცედენტი არსებობს. გაგახსენებთ იმ ფაქტს, როდესაც სააკაშვილი გახდა ოდესის ოლქის გუბერნატორი და წინა ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი მოღვაწეობდა პროკურატურისა და შსს-ს სტრუქტურებში, მაშინ არც ერთი ოფიციალური ვიზიტი არ შემდგარა საქართველოში უკრაინის მხრიდან და პირიქით.

როდესაც პოროშენკოს ვიზიტი განხორციელდა საქართველოში, ეს მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ განხორციელდა, რაც სააკაშვილი უკრაინის ხელისუფლებაში გადავიდა და მას შემდეგ, რაც ის გაძევებული იყო უკრაინის ტერიტორიიდან. ამიტომ, მგონია, რომ სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსა და უკრაინას შორის უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე კონკრეტული პიროვნული ფაქტორები განსაზღვრავს ამას. ამ შემთხვევაში სააკაშვილის ფაქტორი გავლენას არ უნდა ახდენდეს. უკრაინა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და ორ ქვეყანას ერთმანეთის დახმარება სჭირდება.

– რა მხრივ?

– მაგალითად, უკრაინას სჭირდება საქართველოს მხარდაჭერა კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. საქართველო კორუფციასთან ბრძოლის მხრივ უფრო მაღალ ნიშნულზეა, ვიდრე უკრაინა. საერთაშორისო გამჭვირვალობის მონაცემებშია ასეთი სტატისტიკა. ამიტომ ამ მიმართულებით საქართველომ უკრაინას კონსულტაცია უნდა გაუწიოს, მაგრამ მგონია, რომ საქართველოსაც სჭირდება უკრაინის მხარდაჭერა.

მაგალითად, უკრაინამ უნდა გაუწიოს საქართველოს დახმარება, როგორ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები. პირველი პრეცედენტი არ არის უკრაინაში, როდესაც მოქმედი პრეზიდენტი აგებს არჩევნებს. არის სხვა საკითხებიც. გარდა ამისა, ეს ორივე ქვეყანა მიილტვის ნატოსა და ევროკავშირისკენ და ამიტომ, წესით, ამ ფაქტორებმა უნდა გადაწონოს სხვა სახის ურთიერთობები. ვახსენე, რომ ბევრი რამე აკავშირებს ამ ორ ქვეყანას, მით უმეტეს, უკრაინა მუდმივად იმყოფება ეკონომიკურ ათეულში.

მაგრამ არსებობს პოლიტიკური პრეცედენტი, როცა ორი ქვეყნის ურთიერთობას პიროვნული ფაქტორები წონის. ყოველ შემთხვევაში, ისეთი ინტენსიური არ არის და ამ კონტექსტში ვახსენე პოროშენკოს პრეზიდენტობის დრო – სანამ სააკაშვილი იყო მის გუნდში და მას შემდეგ, რაც ის წავიდა ოპოზიციაში, ორ ქვეყანას შორის სულ სხვადასხვაგვარი ურთიერთობები იყო.

– რა გამოდის, ჩვენს პოლიტიკაზე პიროვნული ფაქტორები უფრო დიდ გავლენას ახდენს, ვიდრე სხვა ფაქტორები? ანუ სააკაშვილის მიუღებლობა იმდენად დიდია ჩვენს ხელისუფლებაში, რომ 2 ქვეყნის ურთიერთობაზეც ახდენს გავლენას?

– ყოველ შემთხვევაში, ახდენდა გავლენას. ეს იყო იმ პერიოდში, როცა პოროშენკოს მთავრობაში სააკაშვილი გუბერნატორის თანამდებობას იკავებდა. არ არის გამორიცხული, რომ დღესაც იგივე მოხდეს, მაგრამ მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ეს არ მოხდება. მიუხედავად იმისა, რომ პოროშენკო პროდასავლური ლიდერი იყო და ის ხელმძღვანელობდა მაიდანის აქციას, ეს ურთიერთობები მაინც არ იყო საქართველოსთან იმ სახის, რაც უნდა იყოს სტრატეგიულ პარტნიორებს შორის. ბევრი რაღაცა არ უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, არის.

– თავად სააკაშვილი მოინდომებს საქართველოს ხელისუფლებასთან რაიმე ტიპის ურთიერთობას, თუ მას დანიშნავენ რაიმე თანამდებობაზე უკრაინაში? თუ ის გახდა მრჩეველი, პრეზიდენტ ზელენსკის ხელს ხომ არ შეუშლის?

– შესაძლებელია, ხელი შეუშალოს ისევ „ქართული ოცნების“ ინიციატივით, მაგრამ, თუ იქნება გამოხატული თანამშრომლობის მზაობა ჩვენი ხელისუფლებისგან, ალბათ – არა. ჯერჯერობით ჩვენ უნდა დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

– ანუ სააკაშვილისგან ხელის შეშლას არ ელოდებით?

– სააკაშვილს აღუდგა მოქალაქეობა, მაგრამ მნიშვნელობა აქვს მის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხს. თუ ის არ დაინიშნა რაიმე თანამდებობაზე უკრაინაში, მაშინ საქართველოსა და უკრაინას შორის შენარჩუნებული იქნება მაღალი კონტაქტები და მაღალი დონის ურთიერთობები, იქნება ეს პრეზიდენტების დონეზე, პრემიერ-მინისტრებსა თუ სხვა ოფიციალურ პირებს შორის.

თუ სააკაშვილი რაიმე თანამდებობაზე დაინიშნა, ამ შემთხვევაში შეიძლება გარკვეულწილად ურთიერთობები დაიძაბოს ან აღარ იყოს ასეთი ურთიერთობები. მაგრამ არის მესამე ვარიანტიც, ყველა ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ. შესაძლოა, სააკაშვილმა გააცხადოს, რომ საქართველო და უკრაინა სტრატეგიული პარტნიორები არიან და გამოვხატავ მზადყოფნას, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან გვქონდეს ინტენსიური ურთიერთობა, ვინაიდან ეს, პირველ რიგში, სჭირდება ხალხს და არა მარტო „ქართულ ოცნებასო“. აქ უკვე „ქართულ ოცნებაზე“ იქნება დამოკიდებული, რომ განაცხადოს თანხმობა. ამ შემთხვევაში „ოცნებამაც“ შესაძლოა განაცხადოს, რომ კი ბატონო, საქართველოს სჭირდება უკრაინა და უკრაინასაც სჭირდება საქართველო.

მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, არსებობს იმის ალბათობა, რომ თუ სააკაშვილი იქნება უკრაინის ხელისუფლებაში, „ქართული ოცნების“ მხრიდან მოხდეს ამ ურთიერთობებზე უარის თქმა და განაცხადონ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნა მათთვის მიუღებელია. ამის პრეცედენტი ერთხელ უკვე ვნახეთ.

კახა კუკავა: „დიდი იმედი მაქვს, 90-იან წლებში არ დავბრუნდებით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი **კახა კუკავა** პასუხობს.

– ბატონო კახა, ბოლო პერიოდია აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ის, რაც დღეს დავითგარეჯში ხდება, პროვოკაციულ ნიშნებს შეიცავს. ასე რატომ გამწვავდა სიტუაცია? ოპოზიციის ერთი ნაწილი სალომე ზურაბიშვილის ვიზიტს აბრალებს ყოველივე ამას. თქვენც მას ადანაშაულებთ თუ სხვაგვარად ფიქრობთ?

– დიახ, ჩვენ ვიყავით ერთადერთი პარტია, რომელმაც სალომე ზურაბიშვილის ვიზიტის შემდეგ ვთქვით, რომ ეს სულელური განცხადებები გამოიწვევდა პრობლემებს დავითგარეჯთან მიმართებით.

სალომე ზურაბიშვილს ის კი არ უთქვამს, დავითგარეჯი გადავცეთ აზერბაიჯანულ მხარესო. მან თქვა, დროზე დავასრულოთ დელიმიტაციაო.

– დავასრულოთ ვის სასარგებლოდ?

– ჩვენ მაშინვე დავსვით ეს შეკითხვა, დროზე დასრულება ნიშნავს იმას, რომ ან აზერბაიჯანმა უნდა დათმოს, ან საქართველომ. აზერბაიჯანს რომ გაეკეთებინა დათმობა, მაშინ იქნებოდა დიდი მოლოცვები, რომ გავიმარჯვეთ, ხოლო როცა ხელისუფლებამ მიაფუჩეჩა და თქვა, რომ ჩვენ დავამთავროთ დელიმიტაცია, უკვე გასაგები იყო, რომ დელიმიტაციის დასრულება უნდოდათ ჩვენი ტერიტორიების ხარჯზე.

ამ ხალხისთვის რთული გასაგებია, რომ ეს რამდენიმე კელია მეტრებით კი არა, საუკუნეებით იზომება, იქ რომ არის შუა საუკუნეების ფრესკები, თვითონ კელიები შესაძლოა კიდევ უფრო ძველი იყოს, მათი ღირებულება ამით იზომება და არა იმით, რამდენი კვადრატული მეტრი ფართობი უკავიათ. ამ პროცესში ერთი დიდი პრობლემა შექმნა სწორედ არაკომპეტენტურობამ როგორც პრეზიდენტის, ისე სხვა სახელმწიფო უწყებების მხრიდან.

– რამდენად ხედავთ ამ პროცესში პროვოკაციულ ნიშნებს და ამ თემას სათავისოდ იყენებენ თუ არა კონკრეტული ძალები?

– პროვოკაცია ვისი მხრიდან? არის ორი ვარიანტი, ერთი აზერბაიჯანის მხრიდან და მეორე ვარიანტი – მესამე დაინტერესებული მხარის მხრიდან. აზერბაიჯანის მხარეც არის დამნაშავე ამ ყველაფერში, ხოლო მთავარი დამნაშავე არის ჩვენი ხელისუფლება.

ამ ყველაფრის შედეგად ზარალი, რომელიც შეიძლება მიადგეს როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანს, იქნება შეუდარებლად დიდი, ვიდრე ის, რაზეც ახლა ვდავობთ, თუ საქართველოსთვის ამას კიდევ რაიმე ახსნა აქვს, რადგან ჩვენთვის მატერიალური ზარალიც არის და მორალურიც, აზერბაიჯანის მხრიდან სრული სისულელე იქნება საქართველოსთან ურთიერთობის დაძაბვა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მათთვის ის, რაც ჩვენთვის არის უძველესი ძეგლი, ნამდვილად რამდენიმე კვადრატული მეტრია და მეტი არაფერი. იქ ოქრო არ არის, ვერცხლი არ არის და ტურისტული ობიექტი არ არის.

– მაშინ, რატომ იქცევა ასე აზერბაიჯანული მხარე?

– აზერბაიჯანული მხარის ასეთი უდიერი დამოკიდებულება ჩვენ მიმართ გამოწვეულია იმით, რომ დღეს საქართველო არის სუსტი, დღეს საქართველოს ჰყავს სუსტი ხელისუფლება, მაგრამ აზერბაიჯანის ხელისუფლებას რომ ჰყავდეს ისტორიის კარგი მცოდნეები, მათ ეცოდინებოდათ, რომ დღეს ასეა საქართველოში, ხვალ სხვანაირად იქნება. საქართველოს ფუნქცია აზერბაიჯანისთვის არის ძალიან სტრატეგიული და თუ საქართველო გადაიკიდეს აზერბაიჯანელებმა, ეს მთლიანად შეცვლის არა მარტო კავკასიაში ძალთა თანაფარდობას, არამედ საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს აზერბაიჯანის, როგორც გაზისა და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნის სტატუსს!

– რამდენად ხედავთ საფრთხეს, რომ ასე დაიძაბოს ვითარება?

– კი, ვხედავ. ეს თემა ჩვენთვის ძალიან მგრძნობიარე და ემოციურია. იმასაც ვხედავ, რომ აზერბაიჯანული მხარე არის ერთგვარად გაჯიუტებულ პოზიციაში. არაფერი უშლიდა აზერბაიჯანს ხელს, რომ ერთი-ორი თბილი განცხადება გაეკეთებინა ქართული მხარის მიმართ, როგორც კეთდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, რომ ეს არის პროვოკაცია, რომ ერთმანეთს არ უნდა მივაყენოთ ზიანი და ასე შემდეგ, მაგრამ, პირიქით, ტრაქტორი მიაყენეს დავითგარეჯს.

მათ თავიანთი იურიდიული არგუმენტები აქვთ, რომ მათი ტერიტორიაა, სადაც ტრაქტორი მუშაობს, მაგრამ არ ითვალისწინებენ იმას, რომ ასეთი ტიპის ურთიერთობებში იურიდიული არგუმენტები სულ უკანასკნელია.

საქართველოს პატრიარქის განცხადებაში, რომელიც ძალიან დიპლომატიური იყო, ის წერს, რომ შეიძლება მესამე მხარე იყოს დაინტერესებული ამ ურთიერთობების დაძაბვით. ვიღაცამ შეიძლება რუსეთი იგულისხმოს, ვიღაცამ შეიძლება სომხეთი ან სულაც დასავლეთი. ეს დამოკიდებულია იმაზე, ვინ რა კონტექსტში განიხილავს ამ მოვლენებს.

– თქვენ რას ფიქრობთ?

– მიუხედავად იმისა, რომ მე ამის მტკიცებულებები არ მაქვს, ეს ყველაზე ლოგიკური ვერსიაა, თუმცა ამ ეტაპზე ამის დამადასტურებელი წყაროები არ არსებობს.

– მოგვარდება სიტუაცია?

– დიდი იმედი მაქვს, რომ არ დავბრუნდებით 90-იან წლებში, როცა მხარეები ჯიხვებივით ერთმანეთს მიადგებოდნენ ხოლმე და ამის გამო ყველაფერს აფუჭებდნენ. იმედი მინდა ვიქონიო, რომ საქართველოში თუ არა, ბაქოში მაინც ეყოფათ გონიერება, რომ ამ გამწვავებით ძალიან სერიოზულ პრობლემას შეიძლება წავაწყდეთ.

ამაზე უნდა იფიქროს ოფიციალურმა თბილისმაც და ოფიციალურმა ბაქომაც.

„17 ათას ლარამდე თანხა მომპარეს ანგარიშიდან, ბანკი კი ყველანაირ პასუხისმგებლობას იხსნის“

– ონლაინთაღლითებმა საბანკო ანგარიშიდან 17 ათას ლარამდე თანხა მომპარეს, ბანკი კი ყველანაირ პასუხისმგებლობას იხსნის.

ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ ერთ-ერთმა დაზარალებულმა განუცხადა, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს და აღნიშნავს, რომ ბოლო ორ თვეში კიბერდანაშაულის მსხვერპლი, მის გარდა, კიდევ 300-მდე ადამიანი გახდა.

გელა გურული თავად დაგვიკავშირდა და დეტალურად მოგვიყვა, თუ როგორ გახდა კიბერთავდასხმის მსხვერპლი. მისი თქმით, თაღლითობა „საქართველოს ბანკის“ ყალბი გვერდის საშუალებით მოხდა.

– სოციალურ ქსელში ამომიგდო რეკლამა, რომ „საქართველოს ბანკს“ ჰქონდა გათამაშება. იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი თამაშობები სხვა ბანკებსაც ჰქონიათ, ეჭვი არ შემპარვია და გადავედი რეკლამის ლინკზე. ასე აღმოვჩნდი „საქართველოს ბანკის“ იდენტურ გვერდზე. მომთხოვა ინტერნეტ ბანკში შესვლა და SMS-იც მომივიდა „საქართველოს ბანკის“ ნომრიდან – 4444-დან, რის გამოც ეჭვი არ შემპარვია, რომ ყალბი გვერდი იყო. სწორედ ამ სქემის შედეგად ჩაიგდეს ხელში ჩემი ინტერნეტბანკი. შეცვალეს ფინანსური ნომერი (მობილურის ნომერი) და მთლიანი თანხა – 16.690 ლარი მოხსნეს ანგარიშიდან. გარდა ამისა, საკრედიტო ბარათიდან გადარიცხეს 1.023 ლარი, რომლითაც „სოკარ გაზის“ სააბონენტო გადაიხადეს, თუმცა, რამდენიმე დღეში ეს თანხა „სოკარმა“ დამიბრუნა. ხოლო 16.690 ლარი დაკარგულია.

როგორც აღმოჩნდა, თანხა იმავე „საქართველოს ბანკში“ ფიზიკური პირის ანგარიშზეა გადატანილი. ბანკთან ჩემი იურიდიული წარმომადგენელი მივაგზავნე, ხოლო ორი კვირის შემდეგ პირადადაც დამიკავშირდნენ ბანკის წარმომადგენლები და მითხრეს, რომ თავად არიან დაზარალებული და ამ ეტაპზე თანხის ანაზღაურება არ იგეგმება. ამავე საუბრისას ირიბად ითქვა, რომ ჩემ გარდა კიდევ 300-მდე ადამიანი იყო დაზარალებული, – აცხადებს გურული.

როგორც გურული ჩვენთან საუბრისას აცხადებს, კიბერდანაშაულთან დაკავშირებით, 19 მარტს ბანკის მიმართვის საფუძველზე ისანი-სამგორის განყოფილებამ გამოძიება დაიწყო, 25 მარტს კი ბანკმა მოქალაქეებს ინტერნეტბანკით შეატყობინა საფრთხის შესახებ, თუმცა თავად ეს შეტყობინება არ უნახავს. მისივე თქმით, ბანკმა დაუდევრობა გამოიჩინა, როდესაც საკუთარი კლიენტები მხოლოდ ინტერნეტბანკით გააფრთხილა.

– როდესაც ბანკს სესხის თუ სხვა რამე აქცია აქვს, შეტყობინება პირად მეილზე მომდის და მაინტერესებს, რატომ არ ჩათვალა ბანკმა საჭიროდ, რომ მსგავსი საფრთხეების შესახებ ინფორმაცია იმავე საშუალებით მოეწოდებინა. ამასთან, ჩემი თანხის მოპარვა კვირა საღამოს, 7 აპრილს მოხდა. დაახლოებით, ერთი საათის შემდეგ დავრეკე ბანკში და შევატყობინე ამის შესახებ, მაგრამ მითხრეს, რომ არასამუშაო დღე იყო და საქმის მოკვლევას ორშაბათს დაიწყებდნენ, ანუ ბანკმა ფაქტზე რეაგირება მხოლოდ 15 საათის შემდეგ დაიწყო. ამ შემთხვევაშიც მიჩნდება კითხვა – თუ ბანკმა მარტში იცოდა საფრთხეების/რისკების შესახებ და კლიენტებიც გააფრთხილა, რატომ არ შექმნა სპეციალური, ოპერატიული ჯგუფი, რათა მსგავს შემთხვევებზე დროულად მომხდარიყო რეაგირება, იქნებოდა ეს თანხების/ანგარიშების დაბლოკვა, სამართალდამცავი ორგანიზაციებისთვის მიმართვა თუ ა.შ.

მეტიც, უკვე ჩემი შემთხვევის შემდეგ, 11 აპრილს ბანკმა ელექტრონული ფოსტით მომწერა, რომ ფრთხილად ვყოფილიყავი. გარდა ამისა, ბანკმა გააუქმა ფინანსური ნომრის (მობილური ნომრის) დისტანციურად შეცვლის შესაძლებლობაც. ყველაფერი ეს კი 7 აპრილის შემდეგ მოხდა და საინტერესოა, რატომ არ განახორციელა ბანკმა ანალოგიური ქმედებები 19 მარტის შემდეგ, როდესაც კიბერდანაშაულის შესახებ შეატყობინა საგამოძიებო უწყებებს.

ვფიქრობ, „საქართველოს ბანკმა“ სათანადოდ არ შეაფასა არსებული სიტუაცია, რისკები და არც ჩვენი გაფრთხილება მოხდა სათანადოდ. ამიტომ უკვე შევიტანე სასამართლოში სარჩელი, რომელიც წარმოებაში მიიღეს. ბანკს რამდენიმე მუხლით ვედავები. არ შეიძლება, რომ საკუთარ თანხას ვანდობდე, ვინახავდე ბანკში და მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრებოდეს, საფინანსო ორგანიზაცია კი ყველანაირ ვალდებულებას იხსნიდეს. ამის პარალელურად მიმდინარეობს გამოძიება და, როგორც ვიცი, იდენტიფიცირებულია გარკვეული ჯგუფი, ვინც ამ ტიპის დანაშაულებზეა პასუხისმგებელი. ფაქტის შესახებ, რა თქმა უნდა, ეროვნულ ბანკსაც მივმართე და უკვე 1 თვეა, სებ-ი მოკვლევას აწარმოებს, – აღნიშნა გურულმა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი თვეა ონლაინთაღლითობასთან დაკავშირებით საფინანსო ინსტიტუტები და ეროვნული ბანკიც აქტიურად საუბრობენ. მათ კიბერდანაშაულის შესახებ განცხადებებიც გაავრცელეს და მოქალაქეებს მოუწოდეს, რომ სიფრთხილე გამოეჩინათ.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ რამდენად არის ეს ქმედებები საკმარისი, ასევე დავინტერესდით უშუალოდ „საქართველოს ბანკის“ პოზიციითაც გელა გურულის საქმეზე, თუმცა ბანკში მხოლოდ ის თქვეს, რომ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე დეტალებზე ვერ ისაუბრებდნენ.

„ბიზნესპრესნიუსი“ ბანკის კომენტარს უცვლელად გთავაზობთ:

– საქართველოს ბანკმა მომხმარებლის ინფორმირება სოციალური ქსელის მეშვეობით ჯერ კიდევ 19 მარტს დაიწყო, ასევე 25 მარტს მოხდა მომხმარებლის დამატებითი ინფორმირება მობილბანკის „ფუშ-ნოტიფიკაციების“ მეშვეობით. აპრილში კი დაიწყო აქტიური კამპანია ბანკის ყველა საკომუნიკაციო რესურსის გამოყენებით. თუმცა, ამის მიუხედავად, გელა გურული კიბერდანაშაულის მსხვერპლი გახდა, რის შედეგადაც მან, სამწუხაროდ, თავად გააზიარა საკუთარი საბანკო მონაცემები, რითიც ე.წ.-მა ფიშერებმა ისარგებლეს. გელა გურულთან დაკავშირებით ამ ეტაპზე აღძრულია საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. როგორც ჩვენთვის ცნობილია, პროკურატურამ გააკეთა განცხადება, რომ კომპლექსური, გლობალური მასშტაბით მოქმედი, ორგანიზებული კიბერდანაშაულის ქსელის წევრები იდენტიფიცირებულნი არიან, მათი ნაწილი კი დაკავებულია, – აცხადებენ ბანკში.

კიბერდანაშაულის შემთხვევების ზრდაზე ოფიციალური სტატისტიკაც მეტყველებს. კერძოდ, შს სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში კომპიუტერული დანაშაული წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 211.11%-ით არის გაზრდილი. კერძოდ, მიმდინარე წლის 1-ელ 3 თვეში ამ დანაშაულის სულ 476 შემთხვევა დარეგისტრირდა, საიდანაც მხოლოდ 11 საქმეა გახსნილი.

BPN

შვეიცარიის პოლიცია ერთ კვირაში საქართველოში შეკერილ უნიფორმებს ჩაიცვამს

საქართველოში შვეიცარიის პოლიციისთვის უნიფორმები შეიკერა. დაკვეთას კომპანია „ელსელემა“ ასრულებს, რომელიც პოლიციისთვის განკუთვნილ ჯავშანჟილეტებს თბილისის ფაბრიკაში ამზადებს. როგორც „კომერსანტს“ სამკერვალო ფაბრიკა „ელსელემას“ დამფუძნებელმა ელგუჯა მამასახლისმა განუცხადა, უნიფორმების შეკერვა რამდენიმე დღეში დასრულდება, მომდევნო კვირაში კი დამკვეთს მიაწვდიან.

ამჟამად კომპანია „ელსელემა“ საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართის დეპარტამენტისთვისაც კერავს სპეციალურ უნიფორმას.

როგორც მამასახლისი აცხადებს, კომპანიამ მიმდინარე წლიდან ბავშვის ტანსაცმლის ხაზი დაამატა. შედეგად, მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში ბაზარზე „დიბას“ ბრენდით წარმოებული ბავშვის ტანსაცმელიც გაიყიდება.

„დიბა – ეს არის ძველი ქართული სიტყვა და არის აბრეშუმის ერთ-ერთი სახეობა“, – აღნიშნავს მამასახლისი.

პროდუქციის გატანა ექსპორტზეც იგეგმება. კომპანია ამჟამად რამდენიმე უცხოურ ბრენდთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც, საქართველოში წარმოებული ბავშვის ტანსაცმელი იაპონიის და ჩინეთის ბაზრებზეც გაიყიდება.

მამასახლისი განხორციელებულ ინვესტიციაზეც საუბრობს და განმარტავს, რომ კომპანიამ განვითარებაში (თბილისის და ლანჩხუთის სამკერვალო ფაბრიკები) ბოლო 2 წლის განმავლობაში დაახლოებით 1.2 მილიონი ლარი ჩადო.

კომერსანტი

შოთა მალაშხია: „გაერთიანებული ოპოზიცია თავის 43%-იან მხარდაჭერას 50%-მდე გაზრდის“

მარიამ მჭედლიშვილი

„სოციალური დუღილი დაწყებულია“

ქვეყანაში მიმდინარე ზოგიერთ მოვლენაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ **შოთა მალაშხიას**.

– ჭიათურაში ამ დღეებში საქართველოსთვის უპრეცედენტო პროცესები განვითარდა. გაფიცულ მოშიმშილე მაღაროელებს შეუერთდა მთელი ქალაქი. ჩვენი უახლესი ისტორიისათვის სოციალური მოთხოვნების მასშტაბურად წამოყენება არ იყო დამახასიათებელი. ახალი ტენდენციები ჩნდება?

– ამას შეიძლება ვუწოდოთ ახალი მოვლენა, რომელსაც თავისი ახსნა აქვს. ხალხი მძიმე დღეშია და იმის გამოც აქვს პროტესტი, რომ სხვები მის ხარჯზე ცხოვრობენ. მარტო მაღაროელები არ არიან ამ მდგომარეობაში.

– ზოგადად სოციალური ფონია მძიმე?

– რასაკვირველია. ამ ფონზე ადამიანები ხედავენ ხელისუფლების უმოქმედობას, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვას და ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯებს. წინა ხელისუფლება, რომელსაც პარლამენტში მეც წარმოვადგენდი, უშეცდომო არ იყო. ის, რაც კეთდებოდა, ყველა ოჯახამდე ვერ აღწევდა, მაგრამ არსებობდა შენების განცდა, შემოვიდნენ ბრენდები, ჩვეულებრივი ოჯახების შვილები ახერხებდნენ უმაღლესში ჩაბარებას.

საზოგადოებას უნდოდა სამართლიანობა და კეთილდღეობა. ამის მაგივრად ივანიშვილისაგან მიიღო ეკონომიკის უკუსვლა, ხალხის გაღატაკება და განათლების სისტემის დაქცევა. პენსიონერს რეალურად პენსია არ გაზრდია და რასაც ადრე 140 ლარით ყიდულობდა, დღეს 200 ლარად ყიდულობს.

– განათლების სფეროში 25 თუ 30 წელიწადია პრობლემებია. დაქცევაში რას გულისხმობთ?

– წინა ხელისუფლების დროსაც დაიწყო რეფორმები. ამის შედეგად გაადვილდა ჩაბარება უმაღლეს სასწავლებლებში. ამ ხელისუფლებამ, იმის მაგივრად, რომ რეფორმები ნორმალურად გაეგრძელებინა, ბავშვებს სწავლის სურვილი დაუკარგა, პედაგოგებს კი სტიმული წართვა. ადრე წარმატებულებს სკოლებში წახალისება ჰქონდათ. ამათ სკოლებში გამოსაშვები გამოცდები გააუქმეს. ამით განათლების დონე დაბლა დასწიეს.

– პედაგოგებისთვის არ წაურთმევიათ სტიმული. მათ გამოცდებს აბარებინებენ და ხელფასებს ამის მიხედვით უზრდიან.

– სკოლებში რა ხდება, ვერავინ გაიგო. დაწერილი პროგრამა ვერ ვნახეთ. თვითონ არ იციან, რას აკეთებენ. ჯერჯერობით პოზიტიური არაფერი ჩანს. „ქართულ ოცნებას“ გააზრებული პერსპექტივა არც ერთ სფეროში არ გააჩნია. ბათუმში უნდა გახსნილიყო ტექნიკური უნივერსიტეტი. ამ ხელისუფლებამ შენობა დაიწუნა. არადა, იმ შენობაში თავისუფლად შეიძლებოდა სწავლება და უცხოელი სპეციალისტების დახმარებით ჩვენი ინჟინრების მომზადება.

– ამის მაგივრად ქუთაისში უნდა აშენებულიყო ტექნოლოგიური უნივერსიტეტი.

– სწორედ ეგაა, რომ უნდა აშენებულიყო და არ შენდება. რექტორი დანიშნულია, უნივერსიტეტის ადგილზე კი ჭაობში ბაყაყები ყიყინებენ. 7 წელიწადში ამას თავი ვერ მოაბეს.

ეს ყველაფერი იმიტომ ჩამოვთვალე, რომ ავხსნა, რა მოხდა ჭიათურაში. ხალხს ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მაღაროელი ან მუშა ბევრს შრომობს და დაბალ ხელფასს იღებს. ყველას რომ უჭირდეს და სამართალი იყოს, ამას აიტანდნენ. უბედურება ისაა, რომ ყველა ხედავს, როგორ იშენებენ მინისტრები და დეპუტატები სასახლეებს და როგორ ასაქმებენ სამსახურებში თავიანთ ახლობლებს.

ივანიშვილზე ეგონათ, რომ ქვეყანას აღორძინებდა. დაინახეს, რომ ეს კაცი მოხვეჭაზეა გადასული და მის დროს კორუფცია გაიზარდა. ენდიაი-ს ბოლო კვლევით, ივანიშვილს ლიდერებში ყველაზე დაბალი რეიტინგი დაუფიქსირდა. ეს ხალხის შეფასებაა. მოქალაქეები პოლიტიკოსებს მოუწოდებენ, აუშენონ ნორმალური სახელმწიფო თავისი ინსტიტუტებით. შუალედურ არჩევნებში ძირითადად, ეს განწყობა შეინიშნებოდა. ხალხს თაღლითური დაპირებებითაც ვეღარ ატყუებენ. სამწუხაროდ, ხალხის ნაწილი გაიყიდა.

– გაერთიანებული ოპოზიციის ბევრმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შუალედური არჩევნები კენჭისყრამდე, ანუ 19 მაისამდე გაყალბდა. მომავალშიც ასე იქნება?

– მომავალში ასე არ იქნება. ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არსებობს. ზუგდიდის მერის შუალედურ არჩევნებზე ჩვენმა კანდიდატმა სანდრა რულოვსმა აიღო 24.000 ხმა. 2016 წელს ზუგდიდის რაიონში ორი მაჟორიტარული ოლქი იყო. მაშინ სანდრა რულოვსმა მიიღო 10.000 ხმა, ხოლო ჩვენმა მეორე კანდიდატმა 6 ათასი. ჯამში მივიღეთ 16 ათასი ხმა. შუალედური არჩევნების შედეგები დაახლოებით ემთხვევა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის მაჩვენებელს. გაერთიანებული ოპოზიციის მაჩვენებელი ყველგან 43%-ია.

– ფიქრობთ, რომ 43% იმედისმომცემია 2020 წლის არჩევნებისათვის?

– რასაკვირველია. ხალხის კიდევ ერთი მთავარი შეკვეთაა ერთპარტიულობის დასრულება.

– ახლანდელი სისტემით და კანონმდებლობით, ერთპარტიულობა ვერც გამოვა.

– ხალხი პირდაპირ გვეუბნება, უფრო მეტნი გაერთიანდითო. ადამიანებს იმედი აქვთ, რომ შეიქმნება ურთიერთკონტროლის მექანიზმი, რომელიც დაამყარებს წესრიგს ქვეყანაში. ურთიერთკონტროლით გამორიცხება საარჩევნო ომი. როცა ხალხს პოლიტიკური ძალების იმედი გაუჩნდება, მოსყიდვა მოისპობა.

მალე სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები შეარცხვენენ იმათ, ვინც სამშობლოს ყიდის. გვაქვს დრო იმისათვის, რომ ახლანდელი 43% 50%-მდე ან 51%-მდე ავიყვანოთ. ჩვენი გაერთიანება „ძალა ერთობაშია“ მრავალფეროვანია. საზოგადოება სწორედ ასეთ ალიანსს მოითხოვს და მისი გამსხვილება უნდა. ამ ხელისუფლებისგან განსხვავებით, საზოგადოებას ტერიტორიული მთლიანობაც აღელვებს.

– „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობასთან შერიგება უნდა.

– ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობაზე, დევნილებსა და მათ პრობლემებზე აშშ-ის კონგრესი უფრო ხშირად მსჯელობს და იღებს რეზოლუციებს, ვიდრე საქართველოს პარლამენტი და მთავრობა.

ხომ გახსოვთ, რა ხდებოდა, როცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიაში ვიყავი? ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენი ეკლესიების შებათქაშებით დაწყებული, რუსული ბანკებისა და თურქული გემების შესვლით დამთავრებული, ყველაფერზე ხმაურს ვტეხდით და საერთაშორისო საზოგადოებას ვაგებინებდით.

დღევანდელ პარლამენტში კაცი შვილმა არ იცის, ვინ ხელმძღვანელობს ამ კომისიას. ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც საქმის გაკეთების მაგივრად რუსეთის დანაშაულს საქართველოს აბრალებს. ესენი კრემლზე უფრო პრორუსები არიან. თუ საქართველო იყო დამნაშავე 2008 წელს და სხვა დროსაც, მაშინ კონგრესი სხვას რატომ ამბობს? ხალხი ამასაც ხედავს.

– სოციალურ პროტესტს დავუბრუნდეთ. უფრო მას შტაბური სოციალური გამოსვლებიც მოსალოდნელია?

– გამორიცხული არ არის. როცა ხალხი ხედავს, რომ კლანები, კორუფცია და უსამართლობაა, აღშფოთებას ვერ მალავს. ხალხი ხელისუფლებას და მის გარემოცვას ეუბნება, რომ ისინი მისი გაღატაკებისა და უპერსპექტივობის ხარჯზე მდიდრდებიან. ასეთი განწყობა აქვთ ტაქსის მძღოლებს და სხვებს. სოციალური დუღილი დაწყებულია.

დავით ზურაბიშვილი: „დავითგარეჯის პრობლემა ბიძინა ივანიშვილმა ილხამ ალიევთან უნდა მოაგვაროს“

ნათია ხურცილავა



„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით ზურაბიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით ვითარება დღითიდღე მწვავდება. რამდენად შეძლებს ხელისუფლება ამ ვითარებიდან გამოსვლას?

– ჯერჯერობით რასაც ვხედავთ, არის ის, რომ სისულელეს სისულელეზე აკეთებენ. სხვას ვერაფერს ვხედავ. ფაქტია, რომ ელემენტარული წარმოდგენა არ აქვთ.

ეს პრობლემა დიდი ხანია არსებობს. საბჭოთა კავშირის დროს დადგენილი საზღვრების მიხედვით ისე მოხდა, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი: ბერთუბანი, ჩიჩხიტურის კოშკი და უდაბნოს მონასტერი აზერბაიჯანის მხარეს, სიღრმეშია მოქცეული. სწორედ ამ მონასტრებზეა საუბარი.

შიგადაშიგ ჩნდებოდა ხოლმე ეს პრობლემა და კონფლიქტებიც იყო, მაგრამ აქამდე სახელმწიფოს პირველ პირებს შორის მოლაპარაკების დონეზე წყდებოდა ხოლმე პრობლემა. კერძოდ, შეთანხმება იყო ასეთი: ჩვენ ამ ტერიტორიაზე პრეტენზიას არ ვაცხადებდით, მაგრამ აზერბაიჯანი ასევე ამ შეთანხმების საფუძველზე ხელს არ უშლიდა სასულიერო პირებს, მომლოცველებსა და ტურისტებს. თუმცა, საზღვრის დამდგენი კომისია აქამდეც მუშაობდა. სიტუაცია სწორედ სალომე ზურაბიშვილის დაუფიქრებელი, გაუგებარი განცხადების შემდეგ გამწვავდა.

– ასე ფიქრობთ?

– ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული. მეტიც, 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ეს ასე იყო. სხვა ვარიანტი, უბრალოდ, არ არის. ქალბატონმა სალომემ ხშირად დაიწყო საუბარი, რომ საზღვრის დემარკაცია საჭიროა. ეტყობა, წარმოდგენა არ აქვს ამ ისტორიაზე. როდესაც დავითგარეჯში ჩავიდა, მოინახულა ის ტაძარი, შემდეგ მის ფონზე დადგა და ტელევიზიით გამოვიდა, საზღვარი უნდა დავადგინოთო, ამის შემდეგ დაიწყო ყველაფერი. აზერბაიჯანის მხრიდან ეს ცუდად იქნა აღქმული, პირდაპირ აღქმულ იქნა, რომ პრეტენზიები გვაქვს იმ ტერიტორიაზე. მერე ამას კიდევ დაემატა ზემოდან.

გასაგებია, აზერბაიჯანში დემოკრატიის ხარისხი არ არის მაღალი, ავტორიტარული ვერტიკალია. ამიტომ ასეთი საკითხები არ წყდება კომისიებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს დონეზე. ასეთ საკითხებს იქ პირველი პირი აგვარებს. ეს ყველაფერი ილხამ ალიევის დონეზე უნდა გადაწყდეს. პირდაპირ ალიევს უნდა დაელაპარაკონ.

– როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა დაელაპარაკოს?

– რეალური უფროსი ვინც არის.

– ივანიშვილს გულისხმობთ?

– დიახ, ბიძინა ივანიშვილი უნდა დაელაპარაკოს ილხამ ალიევს. ალიევმაც ხომ იცის, ვინ არის აქ გადაწყვეტილების მიმღები. ამიტომ, არავინ რომ არ ურეკავს, არც ბახტაძე, არც სალომე ზურაბიშვილი და, მით უფრო, არც ივანიშვილი, ცხადია, ფიქრობს, რომ პატივისცემას არ იჩენენ მისდამი. მაინც აღმოსავლეთია და გასაგებია, რომ სხვანაირი ურთიერთობაა საჭირო. ამას უნდა მიხვდნენ. უნდა ადგე და პირდაპირ დაელაპარაკო, თქვა, კომისია მუშაობს და აქეთ ვითარება უფრო და უფრო დაიძაბოს, ეს არ არის არაფერი კარგის მომტანი. რაც აქამდე იყო, ის მაინც უნდა აღდგეს, ეს მაინც უნდა შეძლო.

– მიხეილ სააკაშვილმა თქვა, მე ჩამრთეთ მოლაპარაკებებშიო.

– მიხეილ სააკაშვილი საერთოდ არაფერ შუაში არ არის, გამოვიდა და თავისი აზრი დააფიქსირა, აქედანაც არ დააკლეს პასუხი, გამოვიდნენ და ცხრა წელზე ილაპარაკეს, იმის ნაცვლად, რომ საერთოდ იგნორირება მოეხდინათ.

– კომისიისგან რა მოლოდინი გაქვთ?

– თავისთავად კომისიამაც უნდა გააგრძელოს მუშაობა. ჩვენც, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენის თვალსაზრისით, მსოფლიოში უნდა გავაგრძელოთ მუშაობა, მაგრამ ახლა ყველაზე მთავარია, კონფლიქტი ჩაცხრეს. პარალელურად ხელისუფლება სასულიერო პირებს, სამღვდელოებას უნდა დაელაპარაკოს, ასევე უნდა დაელაპარაკოს სამოქალაქო აქტივისტებს, რადგან პროტესტმა შეიძლება არასასურველი შედეგი მოიტანოს. ნამდვილად არ არის ახლა იქ სამოქალაქო პროტესტების დრო. მე იმაზე კი არ ვსაუბრობ და ის კი არ მგონია, რომ ხელისუფლება შეგნებულად ამწვავებს სიტუაციას და შეგნებულად მტრობს ქვეყანას, არა, რა თქმა უნდა, მე კვალიფიციურობის პრობლემაზე ვსაუბრობ. ამ არაკვალიფიციურობით შეიძლება საქმე გააფუჭოს. ეს არის პრობლემა.

– რუსეთისა და აზერბაიჯანის თითქოს ერთ სიბრტყეზე დაყენება ხდება. ეს რამდენად შეიძლება, საფრთხის შემცველი იყოს?

– რა თქმა უნდა, ეს არაფრით არ შეიძლება. რუსეთს გაეროს მიერ საერთაშორისოდ აღიარებულად ჩვენი ტერიტორიები აქვს მიტაცებული და ოკუპირებული. ამიტომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თურქეთთან, სომხეთთან, სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება. ეს გეოპოლიტიკის ანაბანაა.

– ეს პრობლემა შეიძლება რუსეთმა ერთგვარი პროვოკაციისთვის გამოიყენოს?

– რა თქმა უნდა, შეიძლება. ყველაზე მეტად სწორედ რუსეთს აწყობს ჩვენი დაძაბული ურთიერთობა აზერბაიჯანთან. ამიტომ საჭიროა, ხელისუფლების უმაღლეს დონეზე გადაწყდეს და მოგვარდეს ეს პრობლემა. სხვანაირად ასეთი საკითხები რთულად გვარდება. აქამდე ასე გვარდებოდა. თავის დროზე შევარდნაძე ელაპარაკებოდა ჰეიდარ ალიევს. შემდეგ სააკაშვილი ელაპარაკებოდა ილხამ ალიევს.

– სალომე ზურაბიშვილი კონსტიტუციას იშველიებს და საშინაო საქმეებზე არ საუბრობს. თუმცა, საზღვრების დემარკაციის საკითხი პირდაპირ პრეზიდენტს ეხებაო. ზოგადად პრეზიდენტზე რას იტყვით?

– პრეზიდენტი გვყავს ისეთი, თუ ვინმე თანამდებობას არ შეეფერება, პირველი ქალბატონი სალომეა, ალბათ – ირაკლი კობახიძეზე მეტად, ისეთ არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს. როცა უნდა, ეხება, როცა უნდა – არა! საერთოდ ვერ გაურკვევია, რა ეხება და რა – არა. საერთოდ, რაც უფრო ჩუმად იქნება და ნაკლებ საქმეში ჩაერევა, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

როგორ ხორციელდება ხელისუფლების მიერ დაანონსებული ინფრასტრუქტურული პროექტები აჭარაში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ღია წყაროებსა და საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით გადაამოწმა, თუ როგორ ხორციელდება აჭარაში ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა დროს დაანონსებული ინფრასტრუქტურული პროექტები. ხუთი შესწავლილი ობიექტიდან ორის მშენებლობა ჯერ კიდევ 2012-2013 წლებში დაიწყო, თუმცა, დაპირებების მიუხედავად, არც ერთი მათგანი ექსპლუატაციაში შესული არ არის.

პროექტების შესახებ ინფორმაციას „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ.



ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო

2016 წლის 16 მარტს, ბათუმის მრავალფუნქციური რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. მშენებლობა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაფუძნებულ შპს „სტადიონს“ 2018 წლის 18 მაისს უნდა დაესრულებინა (შპს „სტადიონს“ ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს გარდა, ბათუმის სტადიონის მშენებლობაც დაევალა). თუმცა, დასრულების ვადამ 2018 წლის 31 აგვისტომდე, შემდეგ კი 2019 წლის 31 დეკემბრამდე გადაიწია. შპს „სტადიონის“ დირექტორის, ზურაბ ჭურკვეიძის განცხადებით, შეფერხების ერთ-ერთი მიზეზი პროექტში არსებული უზუსტობები გახდა, რის გამოც კომპანიამ დასკვნის მოსამზადებლად ექსპერტი დაიქირავა.

საავადმყოფოს მშენებლობა აჭარის მთავრობას 25 მილიონ ლარზე მეტი უჯდება. აჭარის ჯანდაცვის მინისტრ ზაალ მიქელაძის თქმით, უახლოეს დღეებში დაიწყება პროექტის მიღება-ჩაბარების პროცედურები, თუმცა ამ დრომდე გაურკვეველია, დაზუსტებით რა თანხა დასჭირდება საავადმყოფოს ტექნიკურ აღჭურვას. ამ ეტაპზე საუბარია დაახლოებით 35 მილიონ ლარზე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის ბიუჯეტში ამისთვის თანხა გამოყოფილი არ არის, არც საქართველოს მთავრობას სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2019 წლის პროგრამაშია ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ახალი შენობის აღჭურვისთვის თანხა გათვალისწინებული. ეს პროგრამა მთავრობამ 2019 წლის 28 იანვარს დაამტკიცა, ცვლილებები კი 14 მაისს იქნა შეტანილი. ამ სახელმწიფო პროგრამისთვის, რომელიც სხვადასხვა კლინიკის აღჭურვასა და რეაბილიტაციას ითვალისწინებს, 20 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

2017 წელს აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ზაალ მიქელაძე აცხადებდა, რომ საავადმყოფოს მართვის უფლება შეიძლება საერთაშორისო კომპანიისთვის გადაეცათ. მოგვიანებით, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ თქვა, რომ განიხილება საავადმყოფოს უშუალოდ სახელმწიფო მართვის მოდელი – მინისტრის განცხადებით, ბათუმის და თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოები, საჩხერის სამედიცინო ცენტრი და ზუგდიდის რუხის კლინიკა ერთიან სახელმწიფო კონცეფციაში მოიაზრება, რომლის მიზანი სახელმწიფო ეტალონური კლინიკების ამუშავებაა.

საფეხბურთო სტადიონი ბათუმში

ბათუმის საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის შესახებ განცხადება 2012 წელს საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა, ამავე წელს აჭარის მთავრობამ ცენტრალური ბიუჯეტიდან 1 მილიონი ლარი მიიღო პროექტის დასაწყებად. საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, სტადიონის მშენებლობის პროექტი შეჩერდა. განახლების საკითხი დღის წესრიგში 2015 წლიდან დადგა – აჭარის მთავრობამ სტადიონს ადგილმდებარეობა შეუცვალა და ბიუჯეტიც გაზარდა: მაშინ მთავრობაში განაცხადეს, რომ პროექტზე 157 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯებოდა.

2018 წლის იანვრიდან სტადიონის მშენებლობა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „ანაგმა“ დაიწყო, მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის 117 მილიონი ლარი გამოიყო.

მიუხედავად ასეთი დანახარჯებისა, აჭარის მთავრობის ოფიციალური განმარტებით, სტადიონი, ინფრასტრუქტურული მახასიათებლების საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო, ვერ უმასპინძლებს ისეთ საერთაშორისო საფეხბურთო ფინალურ მატჩებს, როგორიცაა უეფას ლიგისა და ევროპის ჩემპიონატის ფინალური თამაშები.

თავდაპირველად სტადიონის მშენებლობის დასრულების ვადად 2020 წლის სექტემბერი განისაზღვრა, თუმცა, ბოლო მონაცემებით, ეს ვადა 2020 წლის 15 ოქტომბრამდე გადაიწია. „ანაგმა“ გაიმარჯვა სტადიონის მშენებლობის მეორე ეტაპის სამუშაოების განსახორციელებლად გამოცხადებულ ტენდერშიც – მეორე ეტაპზე 22 მილიონამდე ლარი გამოიყო სტადიონის გარე ინფრასტრუქტურის, პარკინგის, გამწვანების, ელექტროენერგიის, უსაფრთხოების სისტემებისა და IT ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

ქობულეთის სასპორტო კომპლექსი

2012 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალი პროექტის – ქობულეთის სპორტული კომპლექსის მშენებლობის შესახებ განაცხადეს. სპორტკომპლექსის მშენებლობისთვის 3 მილიონ 55 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2012 წელს გამოიყო, როდესაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობას „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები წარმოადგენდნენ.

ტენდერში კომპანია „ქეთურინამ“ გაიმარჯვა. მასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სამშენებლო სამუშაოები 2013 წლის 16 აგვისტოს დაიწყო. მშენებლობა 18 თვეში უნდა დასრულებულიყო. თუმცა, დღეს მუნიციპალიტეტში აცხადებენ, რომ პროექტი ხარვეზიანი იყო: არ იყო გათვალისწინებული სავენტილაციო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მოწყობა, ასევე, კომპანიამ სახურავისა და საძირკვლის სამუშაოები ხარვეზებით დაიწყო.

2014 წელს, სამუშაოების დაწყებიდან რამდენიმე თვეში, მშენებელმა კომპანიამ კონტრაქტის გაწყვეტა თავად მოითხოვა, რადგანაც განსაზღვრულ ფასად „ქეთურინამ“ მშენებლობის დასრულება ვერ შეძლო. კომპანია „ქეთურინას“ წარმომადგენელი, როინ აბუსელიძე მშენებლობის შეჩერებას ქობულეთის გამგეობას აბრალებს. საბოლოოდ, ხელშეკრულება ქობულეთის გამგეობასა და შპს „გზა XXI-ს“ (ეს სახელი შპს „ქეთურინას“ რებრენდინგის შემდეგ ეწოდა) შორის 2015 წლის 15 აპრილს შეწყდა.

შეჩერებული მშენებლობის გასაგრძელებლად ქობულეთის მუნიციპალიტეტმა 2016 წლის 6 მაისს სასპორტო კომპლექსის შესწორებული პროექტი ექსპერტიზის ბიუროში გადაგზავნა, საიდანაც დადებითი დასკვნა მიიღო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ქობულეთის მერის მოადგილემ, დავით ვერულიძემ განუცხადა, რომ პროექტი მხოლოდ მას შემდეგ გაგრძელდება, რაც ექსპერტების მოსაზრებების გათვალისწინებით გადაწყდება, მშენებლობა გაგრძელდეს კომპანია „გზა XXI-ის“ (ყოფილი შპს „ქეთურინა“) მიერ აშენებულ საძირკველზე თუ გამოინახოს ახალი ტერიტორია. მუნიციპალიტეტში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის ვადას ვერ ასახელებენ, შესაბამისად, გაურკვეველია, როდის ექნება ქობულეთს ახალი კომპლექსი.

საზაფხულო თეატრი მახუნცეთში

ქედის მერიამ 2017 წლის 7 აპრილს ტურისტულად მიმზიდველ სოფელ მახუნცეთში საზაფხულო თეატრის ასაშენებლად 185 ათასი ლარის ხელშეკრულება შპს „ახალშენს“ გაუფორმა. თეატრი მზად უნდა ყოფილიყო 2017 წლის შემოდგომაზე, მაგრამ პროექტში შეტანილი ცვლილებებისა და სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის მიმართვების გამო ხელშეკრულებაში ცვლილებები 5-ჯერ შევიდა და მშენებლობის დასრულების ვადად 2018 წლის 30 მარტი განისაზღვრა. პროექტი ვერც ამ ვადაში დასრულდა.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ქედის მერმა, ლევან გორგილაძემ განუცხადა, პროექტი მხოლოდ მას შემდეგ დასრულდება, რაც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მახუნცეთის განაშენიანების გეგმაზე დაასრულებს მუშაობას. მისივე ინფორმაციით, თეატრი და მიმდებარე ტერიტორია ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის თანხებით კეთილმოეწყობა. რაც შეეხება ტენდერში გამარჯვებულ „ახალშენს“, მერის მოადგილის, როლანდ ბერიძის თქმით, კომპანია შეუსრულებელი პირობების გამო დაჯარიმდა. ქედის მერიაში არიციან, რამდენი დაუჯდება ადგილობრივ და ავტონომიურ ბიუჯეტს თეატრის დასრულება, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 185 ათასი ლარი უკვე დაიხარჯა.

ქობულეთის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების კვლევითი ინსტიტუტის ახალი შენობა

2017 წლის 18 ოქტომბერს, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აჭარის მთავრობის ინიციატივით, საძირკველი ჩაეყარა ქობულეთის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების კვლევითი ინსტიტუტის მშენებლობას. კომპანია „ვექტორს“ მშენებლობა, რომლისთვისაც საერთო ჯამში 1 600 000 ლარი გამოყო აჭარის მთავრობამ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, 2018 წლის ივნისში უნდა დაესრულებინა. თუმცა, სამუშაოების დასრულების სავარაუდო თარიღმა 2018 წლის დეკემბერში გადაიწია. მთლიანობაში ხელშეკრულებაში ცვლილებები 7-ჯე შევიდა. საბოლოოდ, სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტს კომპანიასა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ხელი 2018 წლის 30 ნოემბერს მოეწერა, თუმცა ინსტიტუტის ახალი შენობა ამ დრომდე არ გახსნილა.

კრიზისი ვენესუელაში – რას ვერ თმობენ კრემლი და რუსი მაგნატები

რატომ ჩავიდნენ რუსი სამხედროები ვენესუელაში საიდუმლო მისიით

ვენესუელაში პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა არ ცხრება – კრიზისი გრძელდება. იმის გათვალისწინებით, თუ რა ვითარებაა დედაქალაქის ქუჩებში, რუსეთის მხრიდან ამ ქვეყნის საქმეებში ჩარევამ გაუგონარ მასშტაბებს მიაღწია. როგორც ცნობილია, რუსული სპეციალური ძალების 100 წარმომადგენელი კარაკასში სულ რაღაც რამდენიმე კვირის წინ ჩავიდა, მაგრამ მთლიანად რუსული აქტიურობა 2019 წლის დასაწყისში იღებს სათავეს. თანაც, რუსეთის სტრატეგია აღარავისთვისაა საიდუმლო და ის უკვე ათწლეულებია, თავის ნამდვილ სახეს აღარ მალავს. შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო დახმარება ფაქტიურად სამხედრო ინტერვენციას ეთანაბრება ხოლმე და მას ახლა ეს სამხრეთამერიკული ქვეყანა სამოქალაქო კონფლიქტამდე მიჰყავს. აქვე გავიხსენოთ ავღანეთი, სირია, ლიბია, მთელი აფრიკა და ახლა კი ვენესუელა. და ნუ წავალთ შორს – არსებობს ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მაგალითიც.

როგორც გავლენიანი სააგენტო „როიტერი“ ცოტა ხნის წინ იუწყებოდა, ვენესუელაში, ნიკოლას მადუროს დასახმარებლად სამხედრო კონტრაქტორები რუსეთიდან საიდუმლო მისიით ჩავიდნენ. იმის შესახებ, რომ ეს პირები სირიის მოვლენებიდან უკვე კარგად ცნობილი სამხედრო დაჯგუფების „ვაგნერის“ წევრები არიან, „როიტერს“ მათთან დაახლოებული წყარო უცხადებს. „კაზაკების“ ერთ-ერთი ლიდერი ევგენი შაბაევი „როიტერთან“ ამბობს, რომ მისი ინფორმაციით, რუსი კონტრაქტორების რიცხვი 400-ს შეადგენს. მისი თქმით, ეს ჯგუფი ოპოზიციის ქუჩაში გამოსვლამდე, კარაკასში რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა. და როგორ პასუხობს ამ თემაზე დასმულ შეკითხვას მოსკოვი? კრემლის სპიკერი დიმიტრი პესკოვი ამბობს: „ჩვენ ამის თაობაზე ინფორმაცია არ გვაქვს“.

აღსანიშნავია, რომ კარაკასი ისტორიულად პრორუსული გავლენების მქონე სივრცეა. მოსკოვი და კარაკასი ჯერ კიდევ სოციალისტ უგო ჩავესის დროს „დაძმობილდნენ“. 2014 წელს, ყირიმის ანექსიის შემდეგ, ვენესუელამ მხარი არ დაუჭირა რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების ამოქმედებას. მეტიც, ის ერთ-ერთი იყო იმ რამდენიმე ქვეყანას შორის, ვინც სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები აღიარა. ყველასთვის არის ცნობილი, თუ ვინ იდგა ამ აღიარების უკან.

ექსპერტები ამბობენ, რომ ვლადიმერ პუტინისთვის მადუროს მმართველობის გაგრძელებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ვენესუელა აშშ-ს „უკანა ეზოში“ მდებარეობს. მოსკოვი რამდენიმე ათეული წელია, ვენესუელის სოციალისტ მმართველებს ყველანაირად მხარს უჭერს და „ემეგობრება“ და ახლა ჩამყაყებულმა წყობამ, სტაგნაციამ, ჩაძირულმა ეკონომიკამ, საყოველთაო კორუფციამ და უპერსპექტივობამ ვენესუელაში მძლავრი ოპოზიციური ტალღის შექმნას დაუდო საფუძველი. 35 წლის ოპოზიციის ლიდერ ხუან გუაიდოს როგორც აშშ-მ, ასევე მსოფლიოს 50-მა ქვეყანამ გამოუცხადა მხარდაჭერა. მათ შორის საქართველოც არის.

ცნობილია, რომ რუსეთი „მეგობრებს“ არასახარბიელო სამხედრო კონტრაქტებს სთავაზობს, რაც საბოლოოდ ვადაგასული აღჭურვილობის შენახვის გაზრდილ დანახარჯს იწვევს. მსგავსი რამ მაშინაც მოხდა, როდესაც რუსეთი ვენესუელის ჯარს დაეხმარა. ვენესუელამ რუსულ სამხედრო აღჭურვილობაში მილიონები დახარჯა, თითქმის მთელი მისი სამხედრო არსენალი რუსეთიდან მოდის. და ახლა მოსკოვს ასეთი კარგი შემკვეთის დაკარგვა არ სურს. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ეს „სირიულ სტრატეგიას“ ჰგავს. თანაც, საქმე მხოლოდ პოლიტიკაში არ არის. ჯერ კიდევ 90-იანებში „ახალმა“ რუსებმა დიდი ეკონომიკური ფსონი დადეს სამხრეთ ამერიკაზე. კრემლის აქტიურობის „მსუყე“ მიზეზი ნავთობის მოპოვებასაც უკავშირდება – რუსეთის ნაციონალურმა ნავთობკომპანია „როსნეფტმა“ დაახლოებით 9-მილიარდიანი ინვესტიცია ჩადო ვენესუელის ნავთობპროექტებში 2010 წლის შემდეგ. ამ ციფრებს აქვეყნებს „როიტერი“. მეტიც, „როსნეფტი“ იქ ფლობს ორ ოფშორულ ნავთობმომპოვებელ საწარმოს და დაახლოებით 20 ტონა ნედლეულს ამუშავებს. აი, რატომაც ღელავს ასე „როსნეფტის“ შეფი იგორ სეჩინი და, როგორც ამბობენ, რუსეთში მეორე ყველაზე ძლევამოსილი პირი ვენესუელის გამო. გასულ წელს ის მადუროსთან შესახვედრად კარაკასში ჩავიდა. კარნეგი ცენტრის ექსპერტი ალექსანდრე გაბუევი ფიქრობს, რომ „რუსეთი მადუროში იმდენად დიდ ინვესტიციებს დებს, რომ ერთადერთი ვარიანტი ამ ინვესტიციის გაორმაგება ხდება“.

ასევე, რუსეთი სამხედრო მრჩევლებს ადგილობრივი სამხედროების დროებითი დახმარების გასაწევად აგზავნის. მაგრამ, ეს დროებითი მრჩევლები არასოდეს მიდიან და მეტიც, კონფლიქტი უფრო და უფრო ღრმავდება. ის, რაც შემდეგ ხდება ხოლმე, ყოველთვის შიდა არეულობად და ხანდახან საერთაშორისო კონფლიქტადაც ყალიბდება ხოლმე. ვენესუელას კრიზისის დროს, მადუროს რეჟიმთან შეტაკებებში უკვე ათეულობით ადამიანი დაიღუპა, დაშავდნენ ასეულები.

არადა, ვენესუელის საქმეებში რუსეთის ჩარევა, ვენესუელის ხალხის ნებას ეწინააღმდეგება. ნუთუ, მათ მართლა სურთ იარსებონ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყლის, საკვების, მედიკამენტების და ელექტროენერგიის გარეშე? რუსეთის აგრესიული ქმედებების მიზანია, მათ არჩევანი არ ჰქონდეთ. შესაძლოა ხალხს მადუროს მმართველობა სურს ან არ სურს, და ეს მათი კოლექტიური გადაწყვეტილებაა, მაგრამ მაშ რატომ ერევა ამ საქმეში რუსეთი?

სანამ არსებობს იმედი, რომ ეს პრობლემა ვენესუელის ხალხის სასარგებლოდ გადაწყდება, რუსეთის ამგვარი ჩარევა არასოდეს გახდება გამოსავალი. გადარჩენის გზის შეთავაზების ნაცვლად, ის დაღუპვისკენ უბიძგებს. ჩვენ მსგავს რამეს დრო და დრო, ჩვენს სიახლოვეში და შორსაც, მუდამ ვხედავთ, მაგრამ ერთი რამ უცვლელი რჩება – არც მათი გამოჩენის და არც მათი „დახმარების“ შედეგად წესრიგი არ მყარდება. ყურადღება იმასაც უნდა მივაქციოთ, თუ რაოდენ სახიფათოა მათი ვენესუელაში ყოფნა მოქალაქეების საარსებო გარემოსთვის და არა მარტო.

მიშა გიორგაძე

საფინანსო კომპანია „საქართველო“ და მისი დაზარალებულები „რუსთავი 2“-სგან 70 მილიონს ითხოვენ



საფინანსო კომპანია „საქართველო“ და მისი დაზარალებული მეანაბრეები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სგან“ 70 მილიონ ლარს ითხოვენ.

როგორც ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ მედიაჰოლდინგ „კვირის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განმარტა, კომპანია გაკოტრდა „რუსთავი 2“-ის სიუჟეტების გამო, რომელშიც ნათქვამია, რომ კომპანია ე.წ. ფინანსური პირამიდა იყო.

– სარჩელი შევიდა სასამართლოში. მე წარმოვადგენ დაზარალებულების პოზიციას, რომლებიც კომპანია „საქართველოდან“ დაზარალდნენ. ახლა დაზარალებულებსა და კომპანია „საქართველოს“ ერთი ინტერესი აქვთ.

მათი შეფასებით, ზიანი მიადგათ „რუსთავი 2“-ის გამო, კერძოდ, 2016 წელს სექტემბერ-ოქტომბრის თვეში „რუსთავი 2“-ის მიერ გაკეთებული სიუჟეტების გამო. სიუჟეტებში აღნიშნავდნენ, რომ ეს კომპანია იყო ე.წ. ფინანსური პირამიდა. რეალობა არავის გაუჟღერებია, ვგულისხმობ იმას, რომ არ გაუჟღერებიათ, რომ ეს კომპანია ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი იყო. არ გაუჟღერებიათ ის, რომ იმ დროისთვის არანაირი ვალდებულება და დავალიანება არ ჰქონიათ სახელმწიფო ინსტიტუტებთან, ასევე, კერძო პირებთან.

მოგეხსენებათ, „რუსთავი 2“ წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერ ტელევიზიას, ხალხის ნდობა აქვს, შესაბამისად, მის მიერ გაკეთებულმა სიუჟეტებმა მოახდინა უარყოფითი შედეგი. ამ პერიოდში მოხდა არნახულად თანხების გადინება კომპანიიდან, თანხა აღარ დარჩა და, ფაქტობრივად, კომპანია გაკოტრდა.

ამის შემდეგ უკვე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი კომპანიის წინააღმდეგ და კომპანიას დააკისრა 70 მილიონი ლარი.

ამ შემთხვევაში ასეთი ფორმულირებით შევიდა სამოქალაქო წესით სარჩელი, რომ მიზეზობრივი კავშირი არსებობს: „რუსთავი 2“-მა მიაყენა ზიანი და, შესაბამისად, „რუსთავი 2“-მა უნდა აანაზღაუროს.

მოსარჩელე არის საფინანსო კომპანია „საქართველო“, მოპასუხეა „რუსთავი 2“. დაზარალებულები მოწმეები არიან. ისინი ადასტურებენ იმას, რომ ამ სიუჟეტების მერე მათ გაიგეს ეს ინფორმაცია, მივიდნენ კომპანიაში, მაგრამ უკვე ფული აღარ დახვდათ – ფული გატანილი იყო იმ ხალხის მიერ, ვინც მიასწრო და პირველმა გაიტანა თანხები. დაზარალებულებს არ გააჩნიათ კომპანიის მიმართ პრეტენზია. ისინი მიიჩნევენ, რომ არათუ კომპანიამ დააზარალა, არამედ დააზარალა იმ ტენდენციურმა სიუჟეტებმა, რის საფუძველზეც მოხდა კომპანიის გაკოტრება და ვალდებულების არშესრულება.

70 მილიონი დაზარალებულებსა და კომპანიაზე უნდა გადანაწილდეს. რეალურად, 2243 დაზარალებულია, – განაცხადა ადვოკატმა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის იურისტმა თამთა მურადაშვილმა ნეტგაზეთს უთხრა, რომ ეს მოთხოვნა აბსურდულია, რადგან მედიის ფუნქციას სწორედ პრობლემის გაშუქება წარმოადგენს და ის ვერ იქნება საფინანსო კომპანია „საქართველოს“ ქმედებებზე პასუხისმგებელი, რის შედეგადაც ასეულობით ადამიანმა კუთვნილი ფული დაკარგა.

2017 წლის 31 ივლისს საფინანსო კომპანია საქართველოს ხელმძღვანელებს სასამართლომ პატიმრობა მიუსაჯა.

ბიძის მკვლელობისთვის ლ.ა.-ს 10 წელი მიესაჯა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ლ.ა. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 26 ნოემბერს, ლ.ა., წარსულში ბიძასთან – გ.ა-სთან არსებული კონფლიქტის გამო, შურისძიების მიზნით, განზრახ მოკვლის მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტაში მდებარე გ.ა-ს საცხოვრებელ სახლთან მივიდა და ჩაუსაფრდა. როდესაც ლ.ა.-მ ეზოში მყოფი გ.ა. შენიშნა, მიუახლოვდა მას და სანადირო თოფიდან დამიზნებით ორჯერ ესროლა. მიღებული ჭრილობების შედეგად გ.ა. ადგილზე გარდაიცვალა.

ლ.ა. იმავე დღეს, ბრალის აღიარებით პოლიციის განყოფილებაში მივიდა. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ლ.ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ოთარ ფარცხალაძე თავის სასამართლოზე არ მივიდა

ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის პროკურორ ნუგზარ ჭიტაძის განცხადებით, ფარცხალაძის მიმართ მფარველობას ადგილი არ აქვს. როგორც ჭიტაძე ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნავს, ყოფილი მთავარი პროკურორი გუშინდელ სასამართლო სხდომას დაესწრებოდა თუ არა, ეს მისი ნება იყო.

– ბრალდებულს აღკვეთა ეცვლება მაშინ, როცა არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლო პროცესზე, ან გამოძიებას ემალება. მოცემულ შემთხვევაში, ფარცხალაძის უფლებაა, დაესწრება თუ არა სხდომას. მისი ადვოკატები მონაწილეობენ საქმის განხილვაში, რომლებმაც წარმოადგინეს განცხადება, რის საფუძველზეც, ოთარ ფარცხალაძე სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ახერხებდა სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღებას.

ფარცხალაძემ ასევე თანხმობა განაცხადა, მისი დასწრების გარეშე მომხდარიყო საქმის განხილვა. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში, ეს ხელს არ უშლის სისხლის სამართლის პროცესის მიზნის მიღწევას.

ბრალდების მხარემ ასევე დაიწყო მტკიცებულებების განხილვა, დღეს დაიკითხა სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე მოწმე, რომელმაც დაადასტურა ვიდეოჩანაწერების ავთენტურობა. ვიდეოჩანაწერი, გავრცელებულია ტელეეთერებითაც, სადაც ძალადობის ფაქტია ასახული. დღეს დაკითხული პირი დაპირისპირების შემსწრე არ იყო, – განაცხადა ჭიტაძემ.

28 მაისის სასამართლო სხდომაზე, სადაც ბრალდების მხარის მტკიცებულებებს იკვლევდნენ, ყოფილი მთავარი პროკურორი არ გამოცხადდა. ფარცხალაძეს სახელმწიფო ბრალდება ყოფილი აუდიტორის, ლაშა თორდიას ცემას ედავება. დაზარალებული ლაშა თორდია საქართველოში არ იმყოფება.

შეგახსენებთ, რომ გენერალური აუდიტორის, ლაშა თორდიას განცხადებით, მას თავს ყოფილი მთავარი პროკურორი, ოთარ ფარცხალაძე დაესხა და დაცვის წევრებთან ერთად ფიზიკურად გაუსწორდა. მისივე თქმით, თავდასხმა აუდიტის სამსახურის საქმიანობას ეხებოდა. ოთარ ფარცხალაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც ცემას გულისხმობს.

ოფლიციელი კონსტანტინე ქოჩიშვილი 16 წლის ბიჭის ცემისთვის დააკავეს

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურამ ბოლნისის პოლიციის განყოფილების ყოფილი დეტექტივ-გამომძიებელი კონსტანტინე ქოჩიშვილი დააკავა.

ამის შესახებ ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მოადგილე ლევან ლაზარეშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, დაკავებულს ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლის ა, ბ და ზ ქვეპუნქტებით ჩადენილი დანაშაული, რაც პირის მიმართ დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას გულისხმობს.

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში იმ პირთა ამოცნობის პროცესი მიმდინარეობდა, რომელთაც 16 წლის მოზარდი ცემასა და არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებს.

გუშინ, 28 მაისს, დაზარალებულმა ერთი პოლიციელი ამოიცნო, გასულ კვირას კი – სამი.

არასრულწლოვნის ადვოკატ ფრიდონ სიხუაშვილის განცხადებით, დაზარალებულის მიმართ ფიზიკურ ძალადობაში და სექსუალური ძალადობის მუქარაში, მინიმუმ 7 სამართალდამცველი იღებდა მონაწილეობას. მისივე თქმით, ამოცნობილმა პოლიციელმა კონსტანტინე ქოჩიშვილმა არასრულწლოვანს წიხლი ჩაარტყა, სკამიდან გადააგდო და ხელი მოსტეხა.

16 წლის მოზარდი ბოლნისში სამართალდამცველებმა ორი თვის წინ ქურდობისთვის დააკავეს. როგორც ის აცხადებს, პოლიციელები მისგან თანამზრახველების დასახელებას ითხოვდნენ და ამ დროს სასტიკად გაუსწორდნენ.

16 წლის ბიჭის ინფორმაციით, ის ოქტომბერში ქურდობის გამო დაუკავეს, სამართალდამცავები კი აღიარებით ჩვენებასა და მოპარული ოქროს ნივთების შენახვის ადგილის დასახელებას სთხოვდნენ.

მისივე თქმით, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურას გამოცემული აქვს დაზარალებულად ცნობის დადგენილება, სადაც წერია, რომ არასრულწლოვანს დამუქრნენ, რომ დასვამდნენ ბოთლზე, გააუპატიურებდნენ, გადაიღებდნენ ვიდეოზე და გაავრცელებდნენ.

– მირტყამდნენ თავში, წელის არეში და სადაც მოუხერხდებოდათ, ყველგან მირტყამდნენ. მოტეხილ ხელში მირტყამდნენ უმეტესად. როდესაც საავადმყოფოდან მომიყვანეს გამწარებულები იყვნენ, რომ არ მიმიღეს მშობლების გარეშე და მაგ დროს მემუქრებოდნენ, რომ ახლაო, რაც იქ არ გაგიკეთეთ და რომ გეუბნებით გაგაუპატიურებთო და არ შევასრულეთო, ახლა რომ მოგიყვანეთო, ბოთლზე დაგსვამთ და გაგაუპატიურებთო.

რაღაც წამალს ამბობდა, დავლევთო, რომ უფრო დიდხანს გაგრძელდესო შენი გაუპატიურების მცდელობაო. როდესაც მიმიყვანეს, უკვე შარვალი გამხადეს და ბოთლს მადებდნენ, – აღნიშნავს არასრულწლოვანი.

თელავში ავარიის შემდეგ მოცურებული მანქანა ქვეით მამაკაცს დაეჯახა და მოკლა

ავტოსაგზაო შემთხვევას თელავში ქვეითი ემსხვერპლა.

შემთხვევა აღმაშენებლისა და სულხანიშვილის ქუჩების კვეთაზე მოხდა.

„ტოიოტასა“ და „ნისანის“ მარკის ავტომობილები ერთმანეთს შეეჯახნენ, რის შემდეგ ერთ-ერთი მოცურდა და გაჩერებაზე მდგარ ახალგაზრდა მამაკაცს დაეჯახა.

ქვეითი ადგილზე გარდაიცვალა.

დაშავდა მძღოლი ქალი, რომელიც ტოიოტას მართავდა. ის მსუბუქი დაზიანებებით თელავის რეფერალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ადგილზე მაშველები, საპატრულო და კრიმინალური პოლიცია მუშაობდნენ.

ტყიბულში ქვანახშირის კარიერში მამაკაცის ცხედარი იპოვეს



გუშინ, 28 მაისს, ტყიბულში ქვანახშირის კარიერში ჩამოშლილი მიწის ქვეშ მოყოლილი მამაკაცის ცხედარი იპოვეს. სამაშველო სამუშაოები ქვანახშირის ღია მოპოვების კარიერზე მთელი ღამე მიმდინარეობდა.

ტყიბულში ქვანახშირის კარიერში მიწა და ქვანახშირის მასა 27 მაისს ჩამოიშალა და 55 წლამდე მამაკაცი მოიყოლა.

ტყიბულის კარიერზე მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით „საქნახშირმა“ განცხადება გაავრცელა.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 2018 წლის 16 ივლისის შემდეგ ტყიბულში ნახშირის მოპოვებითი სამუშაოები შეჩერებულია, შესაბამისად, კომპანიამ შეაჩერა ყველა კონტრაქტორ და კერძო პირთან ხელშეკრულებები და მიმართა მათ საკუთრებაში არსებული ტექნიკა გაეტანათ. მათივე ცნობით, მას შემდეგ, რაც „საქნახშირმა“ რამდენჯერმე დააფიქსირა კარიერებზე უნებართვო შეჭრა, კომპანიის მხრიდან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიმართ, წერილობითი შეტყობინება განხორციელდა, რათა წიაღის უკანონოდ მოპოვების ფაქტების აღკვეთის მიზნით, შესაბამისი ზომები გაეტარებინათ.

გორში მანქანა მეხუთეკლასელ გოგონას დაეჯახა

გორში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მეხუთეკლასელი გოგონა დაშავდა.

შემთხვევა რკინიგზის სადგურის დასახლების ტერიტორიაზე მოხდა. მსუბუქი ავტომანქანა ქვეითს დაეჯახა.

დაშავებული მოზარდი თავდაცვის სამინისტროს გორის სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს, მერე კი თბილისში, სპეციალიზებულ კლინიკაში გადაიყვანეს.

შსს-ს ინფორმაციით, მძღოლის ვინაობა ცნობილია. გამოძიება 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

ავსტრიის პრეზიდენტმა კანცლერი კურცი გადააყენა

მის მოვალეობას დროებით ჰარტვიგ ლეგერი შეასრულებს

ავსტრიის ფედერალურმა პრეზიდენტმა ალექსანდერ ვან დერ ბელენმა ქვეყნის მთავრობა სებასტიან კურცის მეთაურობით გადააყენა.

27 მაისს პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა როგორც პირადად სებასტიან კურცს, ასევე მის მთავრობას. კანცლერის მოვალეობებს დროებით შეასრულებს ფინანსთა მინისტრი, ვიცე-კანცლერი ჰარტვიგ ლეგერი, სანამ არ დაინიშნება ახალი კანცლერი, რომელიც შესაბამისად, ამ პოსტზე დარჩება შემოდგომაზე დანიშნულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებამდე. არ არის გამორიცხული, რომ ლეგერი დარჩეს ამ პოსტზე შემოდგომამდე.

სებასტიან კურცი, რომელიც 2017 წელს ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კანცლერი გახდა, დღეს ისტორიაში შევიდა როგორც ავსტრიის მთავრობის ყველაზე „მოკლევადიანი“ მეთაური, მან ამ პოსტზე 525 დღე დაჰყო. თუმცა მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ შემოდგომაზე, არჩევნების შემდეგ, კურცი კანცლერის პოსტზე დაბრუნდება.

კვირას გამართულ ევროპარლამენტის არჩევნებზე „ავსტრიის სახალხო პარტიამ“, რომლის ლიდერიც არის კურცი, ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა, ხოლო ნაციონალისტური „ავსტრიის სახალხო პარტია“ (ყოფილი კოალიციური პარტნიორი) წარუმატებლად გამოვიდა.

სებასტიან კურცი უარს ამბობს დეპუტატის მანდატზეც და ხელფასზეც. ფრაქციის ლიდერი საკანონმდებლო ორგანოში აუგუსტ ვეგინგერი იქნება. კურცი მთლიანად საარჩევნო კამპანიაში ჩაერთვება, ქვეყანაში იმოგზაურებს და შეეცდება, ამომრჩევლები დაარწმუნოს თავისი პარტიის კურსის მართებულობაში.

ვლადიმერ ზელენსკი დონბასის ფრონტზე ჩავიდა

უკრაინის ახალი პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი ვლადიმერ ზელენსკი დონბასის ფრონტზე ჩავიდა. როგორც ჩანს, რუსებს ამის თაობაზე ინფორმაცია ჰქონდათ. მათ ცეცხლი გაუხსნეს ქალაქ სჩასტიეს, სადაც ზელენსკი იმყოფებოდა.

ზელენსკიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ დონბასის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა სურს, მაგრამ ეს კაპიტულაციას არ ნიშნავს.

– ჩვენ გვსურს ზავი, მაგრამ არა ნებისმიერი პირობებით! დონბასი, ისევე როგორც ყირიმი, უკრაინის განუყოფელი ნაწილია! – თქვა ზელენსკიმ.

აშშ-ში ხსოვნის დღე აღნიშნეს

აშშ-ში ხსოვნის დღე აღნიშნეს. იმის გამო, რომ პრეზიდენტი ტრამპი ოფიციალური ვიზიტით იაპონიაში იმყოფებოდა, უცნობი ჯარისკაცის ძეგლთან გვირგვინი ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმა მიიტანა.

– ამერიკას ყველა ის ჯარისკაცი ახსოვს, რომელმაც სამშობლოსთვის თავი დასდო, – განაცხადა პენსმა.

თავად ტრამპი იაპონიაში განთავსებულ სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზაზე მყოფი ამერიკელი ჯარისკაცების წინაშე სიტყვით გამოვიდა. ტრამპმა აღნიშნა, რომ ხსოვნის დღე ყველა ამერიკელისთვის წმინდაა.

– ჯარისკაცი, რომელმაც ამერიკას თავი შესწირა, მარად ჩვენთანაა, – თქვა ტრამპმა.

ბუნტი ოდესის კოლონიაში

ოდესის მახლობლად მდებარე კოლონიაში პატიმრებმა აჯანყება დაიწყეს. მათ დაცვის რამდენიმე თანამშრომელი მძევლად აიყვანეს და გაქცევა სცადეს.

აჯანყება ჩახშობილ იქნა. გაირკვა, რომ მედიის ზოგიერთი საშუალებით გადაცემული ინფორმაცია მასობრივი გაქცევების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება.

გაქცევა ვერც ერთმა პატიმარმა ვერ შეძლო. აჯანყების ჩახშობისას მსხვერპლი არ ყოფილა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მეგან მარკლი ბავშვის გამო ტრამპთან შეხვედრას გამოტოვებს

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლი დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს მიწვევით აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ვიზიტის პროგრამის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ის იძულებულია ბავშვზე იზრუნოს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტრამპისა და მისი მეუღლის მელანიას ვიზიტთან დაკავშირებულ ბანკეტს არც პრინცი ჰარი დაესწრება. ის ვიზიტის პროგრამას მხოლოდ ბუკინჰემის სასახლეში გამართულ კერძო სადილზე შეუერთდება.

დონალდ ტრამპის და მისი მეუღლის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში 3-დან 5 ივნისის ჩათვლით გაიმართება.

გოგონა ოკეანის ფონზე სურათის გადაღების მცდელობას ემსხვერპლა

ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ კორვალისის მცხოვრები გოგონა ნეკანის მთაზე გადასახედ მოედანზე სურათებს იღებდა, როდესაც გადავარდა და დაიღუპა. ამ ინფორმაციას ტილამუკის ოლქის შერიფის ოფისი ავრცელებს.

მიშელ კეისი თავის შეყვარებულთან ერთად დილით ფოტოსურათებს წყნარი ოკეანის ფონზე იღებდა. ამ დროს 21 წლის გოგონას საყრდენ კედელზე ფეხი დაუცდა და გადავარდა. ის 30 მეტრის სიმაღლიდან ხეს დაეცა. შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა დაშავებული სპეციალური თოკების დახმარებით ამოიყვანეს. გოგონა უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, თუმცა ჯერ კიდევ სუნთქავდა.

კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი კეისი შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ლევან კობიაშვილი ქუთაისს სტადიონსა და აკადემიას შეჰპირდა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი ქუთაისის ტორპედოს გულშემატკივრებს შეხვდა. მიზეზი კობიაშვილის მიერ ბრიფინგზე გაკეთებული განცხადება იყო, სადაც აღნიშნა, რომ ქუთაისურ კლუბში ბოლო დროს არსებული სიტუაციის შესახებ ტორპედოს მწვრთნელისა და ფეხბურთელების მიერ გაკეთებული კომენტარები მიუღებელია. ამ განცხადებამ ქუთაისელი გულშემატკივრები გააღიზიანა და მისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვეს.

ტორპედოს ფანკლუბმა კობიაშვილთან შეხვედრის შესახებ განცხადება სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს, სადაც რამდენიმე სასიამოვნო ინფორმაციაც მივიღეთ.

– რამდენიმე დღის წინ ტორპედოს ფანების სახელით განცხადება გავავრცელეთ, სადაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისგან ბრიფინგზე ჩვენი კლუბის მისამართით გაკეთებული განცხადებების გამო ბოდიშის მოხდას მოვითხოვდით.

მეორე დღესვე, დილით, ადრე, ლევან კობიაშვილი პირადად დაგვიკავშირდა და შეხვედრის მზადყოფნა გამოთქვა. ის ქუთაისში ჩამოვიდა, შეგვხვდა ფანებსა და სამწვრთნელო შტაბს.

შეხვედრაზე, სადაც არაერთ საკითხს შევეხეთ, ლევან კობიაშვილის მხრიდან სიტყვა „ბოდიშმაც“ გაიჟღერა. ფედერაციის პრეზიდენტმა აგვიხსნა, რომ განცხადებას თან ახლდა ემოციური ფონი და რომ რეალურად, მას სულ სხვა რამის თქმა სურდა. გვითხრა, რომ ნებისმიერ საკითხში ის ფანების, ფეხბურთელებისა და მწვრთნელების გვერდითაა.

გარდა ამისა, ლევან კობიაშვილი იმ პროექტებზეც ისაუბრა, რომელთა განხორციელებას ფეხბურთის ფედერაცია ქუთაისში გეგმავს. როგორც გვითხრა, ბათუმის შემდეგ ახალი, უეფას მეოთხე კატეგორიის სტადიონი ჩვენს ქალაქშიც აშენდება. მანამდე კი, რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე მინდორი იცვლება და ეს იქნება საუკეთესო მოედანი საქართველოშიო...

დაგვიანონსა ისიც, რომ ქუთაისში ასევე იგეგმება საფეხბურთო აკადემიის გახსნაც.

ჩვენთვის სასიამოვნო და სასიხარულოც იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მსგავსი გამოხმაურება განცხადებაზე. კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით მას ამ ქმედებისთვის და იმედს ვიტოვებთ, რომ პირობა არ დარჩება მხოლოდ პირობად! ქუთაისელებს ნამდვილად არ გვშურს სხვა ქალაქების, სადაც ბოლო პერიოდში ბევრი სასიკეთო რამ ხდება, მაგრამ ქუთაისს საქართველოში „ფეხბურთის სამჭედლოდ“ მოიხსენიებენ და ამ ქალაქს განსაკუთრებით სჭირდება ახალი თანამედროვე სტადიონი, აკადემია...

ასევე იმედს ვიტოვებთ, რომ ტორპედო არ დაიშლება და ხვალ-ზეგ იმაზე ბევრად ძლიერი იქნება, ვიდრე დღესაა. ჩვენი მხრივ, საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ!!!

ბათუმის დინამოს ქეთინო ბერიძე უპატრონებს



ბათუმი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი მექა გახდება. გარდა იმისა, რომ ზღვისპირა ქალაქს ისევ ექნება სტადიონი, რომელიც მე-4 კატეგორიის იქნება და თანამედროვე კომპონენტებით გაჯერებული, საფეხბურთო კლუბს მეპატრონეც გამოუჩნდა. დინამო 49 წლით კომპანია „ლამინი ჯგუფს“ გადაეცემა. ამის შესახებ გადაწყვეტილება ბათუმის საკრებულოს სხდომაზე მიიღეს.

„ლამინი ჯგუფი“ 2013 წელს დაფუძნებული კომპანიაა. მისი 100%-იანი წილის მფლობელი ქეთინო ბერიძეა, ხოლო კომპანიის დირექტორი – არჩილ ბერიძე, რომელიც ამუამად დინამოს გენერალური სპონსორია. ასევე მთავრობასთან თანასაკუთრებაში ფლობს შპს „ახალ ტექნოლოგიას“, აქვს სამშენებლო ბიზნესიც.

სანამ „ლამინი ჯგუფი“ დინამოს მფლობელი გახდება, მანამდე გარკვეული პროცედურებია გასავლელი: კლუბი ჯერ აჭარის ფინანსთა სამინისტროს გადაეცემა და შემდეგ უკვე სამინისტრო ახალ მეპატრონეს სამართავად გადასცემს.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხანი დასჭირდება კლუბის გასხვისების პროცედურებს და კლუბის კომპანიის მფლობელობაში გადასვლას.

მართვასთან ერთად, კომპანიამ მთელი რიგი პირობები უნდა შეასრულოს. აჭარის ფინანსთა მინისტრის თქმით, მათ შორისაა ინფრასტრუქტურული პროექტები და ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის განვითარება.

კლუბთან ერთად კომპანიას მართვაში ანგისის ბაზაც გადაეცემა. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის ვადაში კომპანიამ 200.000 ლარის გარანტია უნდა წარმოადგინოს, ხოლო 3 თვის ვადაში განვითარების კონცეფცია უნდა შეიმუშაოს. ამასთანავე, ყოველწლიურად კლუბში არანაკლებ 500.000 ლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს და აჭარის მთავრობას ყოველწლიურად 100.000 ლარი უნდა გადაუხადოს.

შპს „დინამო ბათუმის“ საკუთრებაშია 72.626 კვ.მ ტერიტორია, რომელზეც ანგისის ბაზაა განთავსებული. წინასწარი პირობით, განვითარების კონცეფცია უნდა მოიცავდეს ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას, სადაც განთავსებული იქნება საცხოვრებელი არანაკლებ 40 ბავშვზე; მათთვის გათვალისწინებული უნდა იყოს თეორიული მეცადინეობისთვის საჭირო ფართობი და ტექნიკური აღჭურვილობა, მწვრთნელებისთვის საჭირო საცხოვრებელი და სამუშაო ფართობები, კვებისა და სამედიცინო მომსახურების ბლოკი, სარეაბილიტაციო ცენტრი, საკონფერენციო და სავარჯიშო დარბაზები.

წილის ახალმა მმართველმა ქონების გადაცემიდან 6 თვეში უნდა შეძლოს მიწის ნაკვეთის გენერალური გეგმის შემუშავება, 7 თვის ვადაში კი უნდა მოამზადოს პროექტის ვიზუალური ესკიზი და შესათანხმებლად წარუდგინოს მესაკუთრეს. გარდა ამისა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის შემდეგ მზად უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო დოკუმენტი მშენებლობის ნებართვის მისაღებად. ამის შემდეგ კი წილის მმართველმა უნდა დაიწყოს მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა შეთანხმებული პროექტის მიხედვით, რომელიც 3 წელიწადში უნდა დაასრულოს.

წინასწარ გაწერილი პირობების მიხედვით, დინამო ვალდებული იქნება, ყოველწლიურად გაიაროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის დადგენილი ლიცენზირება და მონაწილეობა მიიღოს ჩემპიონატებში.

წილის მმართველმა პროექტისთვის არანაკლებ 9 მილიონი ლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს და შესაბამისი ანგარიშები ყოველწლიურად წარუდგინოს ქონების მესაკუთრეს. ამ ყველაფრის დასაზღვევად კი მთავრობა 200.000-ლარიან საბანკო გარანტიას ითხოვს 38 თვის ვადით.

ვლადიმირ ვაისმა გიბრალტართან და დანიასთან სათამაშოდ 25 ფეხბურთელს უხმო

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ევრო 2020-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე და მეოთხე ტურის მატჩებისთვის მზადებას იწყებს. ვლადიმირ ვაისის გუნდი სასტუმრო „ჰუალინგში“ 1 ივნისს შეიკრიბება. საწვრთნელი პროცესის ძირითადი ეტაპი საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის თბილისის ზღვის ბაზაზე წარიმართება.

პირველი მატჩი საქართველოსა და გიბრალტარს შორის ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენაზე 7 ივნისს, 20:00 საათზე დაიწყება.

მეოთხე ტურის შეხვედრა კი, დანია-საქართველო, 10 ივნისს კოპენჰაგენში თბილისის დროით 22:45 საათზე შედგება.

მოახლოებული შეხვედრისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა 27 ფეხბურთელი გამოიძახა.

შემადგენლობაში ერთი დებიუტანტია – მოსკოვის ლოკომოტივის 18 წლის ქართველი ლეგიონერი ხვიჩა კვარაცხელია.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა გიბრალტარისა და დანიის წინააღმდეგ სადღეისოდ ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (მაგდებურგი, გერმანია), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი) ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), ლევან ხარაბაძე (ციურიხი, შვეიცარია), გიორგი ნავალოვსკი (დინამო ბთ);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ლაშა პარუნაშვილი (ესბიერგი, დანია), ვაკო გვილია (გურნიკი, პოლონეთი), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ზლინი, ჩეხეთი), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ლოკომოტივი, რუსეთი), ჯაბა ჯიღაური (გრენობლი, საფრანგეთი), გიორგი აბურჯანია (ლუგო, ესპანეთი);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია).

ცნობილია კიდევ 9 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებსაც ვაისი ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში განიხილავს:

ლაზარე კუპატაძე (ჟენესი, ლუქსემბურგი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ლევან გეგეჭკორი, ბუდუ ზივზივაძე (ორივე ტორპედო), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), ბექა მიქელთაძე (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მჭედლიშვილი (გორიცა, ხორვატია), ლაშა შერგელაშვილი (იანინა, საბერძნეთი), ელგუჯა ლობჟანიძე (თარაზი, ყაზახეთი).

ბარსელონა ვალვერდეს დაემშვიდობება

ერნესტო ვალვერდე ბარსელონას დატოვებს. ესპანური მედიის ცნობით, ბარსა მთავარი მწვრთნელის გაშვებას უახლოეს დროში დაადასტურებს. ვალვერდეს შემცვლელად განიხილება რობერტო მარტინესი, რომელიც ამჟამად ბელგიის ეროვნულ გუნდს წვრთნის.

ჩემპიონთა ლიგაზე წარუმატებელი ასპარეზობის მიუხედავად, კლუბის პრეზიდენტი ბართომეუ ვალვერდესთან მუშაობის გაგრძელებას გეგმავდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც კატალონიური კლუბი ესპანეთის თასის ფინალში ვალენსიასთან დამარცხდა, ბართომეუმ ვალვერდესთან თანამშრომლობის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.

2018-19 წლების სეზონში კლუბმა მხოლოდ ერთი ტიტული მოიგო – მადრიდულ კლუბებთან კონკურენციაში ბარსელონა ესპანეთის ჩემპიონი გახდა.

55 წლის ვალვერდე მთავარ მწვრთნელად 2017 წელს დაინიშნა. კლუბს ლა ლიგა ორივე სეზონში მოაგებინა, რაც მისი გუნდში დარჩენისთვის საკმარისი საფუძველი არ აღმოჩნდა, რადგან ჩემპიონთა ლიგაზე ორივე სეზონში წარუმატებლად იასპარეზა.

ახალი მთავარი მწვრთნელის გარდა, ბარსელონის ხელმძღვანელები შემადგენლობის გაძლიერებაზეც დაფიქრდნენ. „ბლაუგრანას“ მფლობელები რეფორმების გატარებას აპირებენ და რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერის გაჩარხვა სურთ.

გთავაზობთ იმ ფეხბურთელთა სიას, რომლებმაც, შესაძლოა, ზაფხულში კატალონიური გრანდი დატოვონ ან, პირიქით, „კამპ ნოუზე“ გადავლენ სათამაშოდ.

მეკარე

ბარსელონის კარს მარკ ანდრე ტერ შტეგენი იცავს, რომელიც დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. გერმანელმა კიპერმა მიმდინარე სეზონი შესანიშნავად ჩაატარა და ლეო მესისთან ერთად ალბათ ბარსას ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც გაცემული ავანსები სრულად გაამართლა.

ტერ შტეგენის შემცვლელი იასპერ სილესენი გახლავთ. ეს უკანასკნელი სათადარიგო სკამზე ყოფნით უკმაყოფილოა და „კამპ ნოუს“ დატოვებას გეგმავს. თუ ჰოლანდიელმა „ბლაუგრანასთან“ კავშირი გაწყვიტა, კატალონიელები ბეტისის მეკარე პაუ ლოპესის შეძენას შეეცდებიან.

დაცვა

ბარსელონის მესვეურები ზაფხულში დაცვის ხაზის გასაძლიერებლად ყველაფერს გააკეთებენ. კატალო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

დელტამ ქუთაისთან წააგო და მოედნის უპირატესობა დაკარგა

დელტა-ქუთაისი 74:83

(27:20, 13:24, 21:19, 13:20)

სუპერლიგის ფინალურ სერიაში ქუთაისი დაწინაურდა. მთავარი მწვრთნელის გარეშე მყოფმა იმერულმა კლუბმა ოლიმპიურ სასახლეში თბილისის დელტა 83:74 დაამარცხა და ჩემპიონობას 1 მოგებით მიუახლოვდა. სერიის წინა მატჩში მსაჯთან შეკამათების გამო ქუთაისელები მთავარი მწვრთნელის, კოტე ტუღუშის გარეშე თამაშობდნენ, თუმცა გუნდმა საკმაოდ გამართულად ითამაშა, რასაც დელტას შეცდომებიც დაერთო და ნახსენები შედეგიც დაფიქსირდა.

მატჩი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

დარბაზში შეკრებილმა ბლომად შეკრებილმა მაყურებელმა ბრძოლა და ლამაზი მომენტებით გაჯერებული მატჩი იხილა. თბილისელებმა თამაში შედეგიანად დაიწყეს და პირველი პერიოდი 27:20 მოიგეს. 2-წუთიანი შესვენების შემდეგ ქუთაისელებმა თამაში გამოასწორეს და ინიციატივას დაეუფლნენ. ათწუთეული სტუმრებმა 24:13 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

მესამე პერიოდის დასაწყისში დელტამ ლიდერობა მოიპოვა, თუმცა ქუთაისელები დაცვაში მაგრად დადგნენ და წინ გაჭრილ მასპინძლებს მალევე გაუთანაბრეს. თამაში თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა. ლიდერი წამდაუწუმ იცვლებოდა და ბოლო პერიოდის წინ ქუთაისელებს 2-ქულიანი უპირატესობა შერჩათ. ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა. დელტას კალათბურთელების რამდენიმე შეცდომა რიონისპირელებმა კარგად გამოიყენეს და ბოლოსწინა წუთზე მოპოვებული 7-ქულიანი ლიდერობით გამარჯვება გაინაღდეს.

საბოლოოდ იმერულმა კლუბმა 9 ქულით – 83:74 იმარჯვა და სერიაში 2:1 დაწინაურდა.

გამარჯვებაში თითოეულმა ქუთაისელმა შეიტანა თავისი წვლილი. ბურთი სულ 6-მა კალათბურთელმა ჩააგდო, რომელთაგანაც ყველამ მიაღწია 10-ქულიან ბარიერს. 18 ქულა გიორგი ბარბაქაძემ მოაგროვა, ელჯეი ბუსის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა. 15 ქულით გამოირჩა აკაკი ლომოური. დელტელთაგან 17 ქულით საუკეთესო იყო ერიკ ნოთიჯი, ხოლო ბექა ბექაურმა 16 ქულა მიითვალა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ზვიგენმა ჰავაიზე მოხუცი ტურისტი იმსხვერპლა

აშშ-ის კუნძულ მაუიზე ხანში შესული მამაკაცი ზვიგენის თავდასხმის შედეგად დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

სავარაუდოდ, კალიფორნიის შტატის მკვიდრი 65 წლის მამაკაცი ნაპირიდან 50 მეტრში ცურავდა, როდესაც მას თავს ზვიგენი დაესხა. მაუის ოლქის სახანძრო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტმა ადგილზე შვეულმფრენი და ჰიდროციკლი მიავლინა, რათა დაზარალებულის ხმელეთზე გადაყვანა და მისი რეანიმირება მომხდარიყო, თუმცა მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.

კაანაპალის პლაჟზე, სადაც მოხდა მტაცებელი თევზის თავდასხმა, გამაფრთხილებელი ნიშნები დაიდგა. ჰავაის კუნძულებზე ეს პირველი ტრაგიკული შემთხვევაა 2015 წლის შემდეგ.

ქალმა ექვს წელიწადში 30 ამპუტაცია გადაიტანა

ბრიტანეთის ქალაქ ბრისტოლის მცხოვრებმა ქალბატონმა ექვსი წლის მანძილზე 30 ამპუტაცია გადაიტანა.

როდესაც სარა კოქსი 17 წლის იყო, მას რეინოს დაავადება დაუდგინეს, რომელიც გავლენას ახდენს სისხლის მიმოქცევაზე ზედა და ქვედა კიდურებში. სიცივეში მისი ხელები იასამნისფერ შეფერილობას იღებს და უბუჟდება. ექიმებმა მას მაშინვე დაუდგინეს აუტოიმუნური დაავადებები, რომლებიც ჯანსაღ უჯრედებს ანადგურებენ. გოგონა გააფრთხილეს, რომ მისთვის კარიერის გაკეთება და შვილების გაჩენა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა გოგონამ გადაწყვიტა არ დანებებულიყო და ებრძოლა.

მან ჩააბარა უნივერსიტეტში, ბრწყინვალედ დაამთავრა, პოლიციაში დაიწყო მუშაობა და გათხოვდა. წყვილისთვის ბავშვის ყოლის გადაწყვეტილების მიღება მეტად რთული აღმოჩნდა იმის გათვალისწინებით, თუ რა გართულებები შეიძლება გამოეწვია კოქსის დაავადებებს. საბოლოოდ მან გააჩინა ბიჭი, რომელიც ამჟამად ათი წლისაა და სრულიად ჯანმრთელია.

ქალი 2011 წელს ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა სამსახური დაეტოვებინა. ის იმ დროს სამაშველო სამსახურის სატელეფონო ხაზის დისპეტჩერად მუშაობდა. 2013 წელს მას პირველი ამპუტაციის გადატანა მოუხდა. ხელის თითების ფალანგები მოკვეთეს. ექვსი წლის განმავლობაში მას მოკვეთეს ფრჩხილები ხელებზე, ხელების და ფეხის თითების ფალანგები.

2014 წელს კოქსს ფილტვების დაავადება დაუდგინეს, ის იმდენად იყო დაზიანებული, რომ ქალს სიარულის დროს სული ეხუთებოდა. მას შემდეგ ის გადაადგილებას მხოლოდ ინვალიდის სავარძლით ახერხებს.

თუმცა ქალი ყველაზე მეტად იმას განიცდის, რომ შეიძლება მოკვდეს და მისი შვილი უდედოდ დარჩეს.

სპლიყვი ტურისტების წინაშე გამოსვლის დროს დაეცა

ტაილანდის ქალაქ პატაიაში ტურისტების წინაშე გამოსვლის დროს არაქათგამოცლილი სპლიყვი მიწაზე დაეცა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი გასულ კვირას ნონგ ნუჩის ტროპიკულ პარკში მოხდა. კადრებში ჩანს, რომ სპლიყვი დედაზე თოკითაა მიბმული. ის ფეხზე წამოდგომას ცდილობს, მაგრამ სიცხის და ფიზიკური დატვირთვისგან იმდენადაა გადაღლილი, რომ ამას ვერ ახერხებს. თუმცა რამდენიმე წუთის შემდეგ მან მაინც შეძლო ფეხზე ადგომა და გზა გააგრძელა სპილოების ჯოგთან ერთად, რომლებსაც ტურისტები გადაჰყავთ.

თვითმხილველმა, რომელმაც ვიდეო გადაიღო, აღნიშნა, რომ ცხოველი აშკარად არაქათგამოცლილად გამოიყურებოდა. თუმცა პარკის წარმომადგენლები ცხოველებთან არასათანადოდ მოპყრობის ფაქტს უარყოფენ. მათ აღნიშნეს, რომ ყველა სპილო სრულიად ჯანმრთელია და საჭიროების შემთხვევაში ყველანაირ სამედიცინო დახმარებას უწევენ.

ბარსელონა ვალვერდეს დაემშვიდობება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ნიელთა ერთ-ერთი მთავარი სამიზნე აიაქსის 19 წლის უკანახაზელი მატიას დე ლიხტია. ახალგაზრდა ჰოლანდიელს გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღია. მისი საკუთარ რიგებში ხილვა კი, ბარსას გარდა, მანჩესტერსა და იუვენტუსს სურთ.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ „კამპ ნოუს“ ტომას ვერმალენი დატოვებს. ბელგიელს კლუბთან ხელშეკრულება ეწურება და, დიდი ალბათობით, ბარსა კონტრაქტს არ გაუხანგრძლივებს. ვერმაელენთან ერთად ნავსაყუდელის გამოცვლა ჯეისონ მურილიოსაც მოუწევს.

აუცილებელია სამუელ უმტიტის მომავალთან დაკავშირებით გაჩენილი კითხვის ნიშნების შესახებაც ვისაუბროთ. ფრანგ უკანახაზელს მუხლის პრობლემები აწუხებს და გამორიცხული არ არის, „კამპ ნოუს“ ბინადრებმა მისი გაშვებაც დააპირონ.

ნახევარდაცვა

ბარსელონას მომდევნო სეზონში საკმაოდ ძლიერი ნახევარდაცვის ხაზი ეყოლება. ფრენკი დე იონგის ტრანსფერის წყალობით კატალონიელებს ამ პოზიციაზე პრობლემები ნამდვილად არ აქვთ და ზაფხულში ძირითადად ნახევარმცველთა გასხვისებაზე იქნებიან ორიენტირებულები.

დენის სუარესი და რაფინია ალბათ კარიერას სხვა გუნდებში გააგრძელებენ. „ბლაუგრანა“ მზადაა, შეთავაზებები კოუტინიოსა და რაკიტიჩის ტრანსფერთან დაკავშირებითაც განიხილოს.

თავდასხმა

უახლოეს პერიოდში ბარსელონის პროგრამა მაქსიმუმი თავდამსხმელის გადაბირება იქნება, რომელიც ლუის სუარესს ღირსეულ კონკურენციას გაუწევს. გრიზმანი მშვენიერი ვარიანტია, მაგრამ ერთადერთი, ვისაც ანტუანის შეძენა სურს, „კამპ ნოუს“ ბინადრების პრეზიდენტი ხოსეპ ბართომეუ გახლავთ. მმართველი საბჭოს წევრები შარშანდელის გამო ყოყმანობენ, როდესაც გრიზმანმა ბარსაში გადასვლა იუარა.

გრიზმანის გარდა, იოვიჩის ტრანსფერიც განიხილებოდა, თუმცა კატალონიელებს დიდი თანხის გადახდა არ სურთ. შედეგად ისინი რამდენიმე ფორვარდს აკვირდებიან, რომელთა შორის კრისტიან სტუანი, ვისამ ბენ იედერი და ფერნარდო ლორენტე არიან. მათ სუარესისთვის კონკურენციის გაწევა ძალიან გაუჭირდებათ, თუმცა სათადარიგო სკამიდან გუნდს ნამდვილად გააძლიერებენ.

მამაკაცის სახლში უცნობი შეიპარა და დაალაგა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ მარლბოროში უცნობი პიროვნება შეიპარა მამაკაცის სახლში და იქაურობა დაალაგა.

44 წლის ნეიტ რომანი სახლში თავის ხუთი წლის შვილთან ერთად ბრუნდებოდა, როდესაც ბავშვმა შენიშნა, რომ სახლის უკანა ეზოს კარი ღია იყო. მამაკაცმა იფიქრა, რომ ის გაქურდეს. სახლი დაათვალიერა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ წაღებული არაფერი იყო. ამის ნაცვლად უცნობს სახლი დაელაგებინა. რომანმა მათეთრებლის სუნი იგრძნო და შენიშნა, რომ იატაკი მოსუფთავებული იყო.

– არაფერი დაუზიანებიათ, არაფერი წაუღიათ... ნივთები უბრალოდ უცნაურად ეწყო, – განაცხადა მამაკაცმა. ბავშვის ოთახში ლოგინი გასწორებული იყო, ხოლო სათამაშოები აკურატულად იყო დალაგებული. უცნობს მხოლოდ სამზარეულო არ დაულაგებია.

ამ ყოველივეს მიუხედავად, მამაკაცმა მაინც გამოიძახა პოლიცია, თუმცა სამართალდამცავებს მომხდართან დაკავშირებით რაიმე ვერსია არ აქვთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ასტროპროგნოზი

29 მაისისთვის

ვერძი – თავს კომფორტულად და გაწონასწორებულად გრძნობთ. ფულის უანგარიშო ხარჯვას ერიდეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, არ გადაიღალოთ. **კურო** – თქვენი ენამახვილობა და სილაღე გადამდებია. გარშემომყოფებს ხალისსა და ბედნიერებას ანიჭებთ. ახალი საქმის დაწყება გამართლებულია. **ტყუპები** – საზოგადოების სული და გული ხართ. ირგვლივ მყოფებს ახარებთ და სტიმულს აძლევთ. შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. **კირჩხიბი** – შესაძლოა, ახალ სამსახურში გადასვლა დააპიროთ. სიტუაცია კარგად გააანალიზეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. ზედმეტი ხელგაშლილობა მიუღებელია. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში ჯანმრთელობას მიხედეთ. მთავარი სწორი კვებაა. კარგი იქნება, თუ მხოლოდ პირადი საქმეებით დაკავდებით. **სასწორი** – ინტიმური შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მაქსიმალური თავშეკავება და ტაქტი მოგეთხოვებათ. **ღრიანკალი** – თამამად გარისკეთ. იღბალი თქვენ მხარეს არის. საკმაოდ სარფიან შემოთავაზებას მიიღებთ. **მშვილდოსანი** – მარსის მფარველობის მეოხებით თქვენი ენერგეტიკული და სექსუალური პოტენციალი იზრდება. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – ნებისმიერი საქმის შესრულებისას ყურადღებით იყავით. ნუ იჯიუტებთ. აქტიურობას ერიდეთ. **მერწყული** – რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კოლეგებთან ურთიერთობისას მეტი ტაქტი და ღოიალობა გამოიჩინეთ. პლანეტები გმფარველობენ. **თევზები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ილუზიებისგან გათავისუფლდით. კარგი იქნება სუფთა ჰაერზე გასეირნება და დასვენება კომფორტულ, მყუდრო გარემოში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. მადნიდან ლითონის გამოდნობის შემდგომ დარჩენილი მასა; 2. მდინარის ჩამონატანი სილა, თიხა, ღორღი; 3. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ფირმა „ფიატის“ დამფუძნებელი; 6. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 9. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსავლენად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. უბანი ქუთაისში; 11. ესპანური ჩქარტემპიანი ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 14. ავსტრალიური სირაქლემა; 16. მთიბავთა შრომის სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 18. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

თარაზულად: 1. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 4. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 7. იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 8. პატარა სამკუთხა ალამი; 12. გარითმული აფორიზმი; 13. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 15. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 17. რაიმეს ჩამონათვალი; 19. ნიადაგის გამაფხვიერებელი აგრეგატი; 20. ვაშლის ღვინო; 21. ტკბილეული, დესერტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ექსტაზი; 2. ძელქვა; 3. კომპლექსი; 4. მარუხი; 5. ისლანდია; 7. აკრი; 11. ლანცეტი; 13. ღვარძლი; 15. იბიცა; 16. მერია; 18. ნამჯა; 19. იუნგა.

თარაზულად: 6. ქრთამი; 8. გერგეტი; 9. ბორჩალო; 10. არქიელი; 12. დანტე; 14. მიკადო; 17. სტაგნაცია; 20. ღვეზელი; 21. უცნობი; 22. ჯუნგლი; 23. ყაზახეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კოდა; 2. ანაშა; 3. ცეისი; 5. სენატი; 6. ჯარგვალი; 9. ციმაკურიძე; 10. ფიუმიჩინო; 11. მანიფესტი; 14. სნო; 16. საცივი; 18. უშტი.

თარაზულად: 1. კელარი; 4. ფასკუნჯი; 7. ღალატი; 8. სატრაპი; 12. ომალო; 13. ისრიმი; 15. ემბაზი; 17. ბრა; 19. ბასილაშვილი; 20. კენზო; 21. დიზელი.

სამტრედიელ ფიროსმან გივი ფრანგიშვილს დახმარება ესაჭიროება

სამტრედიელი ფიროსმანი – ასე უწოდებენ თვითნასწავლ მხატვარს გივი ფრანგიშვილს.

მას განსაკუთრებულად უჭირს და ინფორმაციას ნანო ლაღიძე ავრცელებს:

– არც მეტი, არც ნაკლები, სამტრედიელი ფიროსმანი! თვითნასწავლი მხატვარი გივი ფრანგიშვილი.

კეთილო ადამიანებო, კარგია და ნამდვილად უგუნური უნდა იყოს ის ადამიანი, ვინც არ იტყვის, რომ ეს პიროვნება გენიაა, ან უბრალოდ უდიდესი მხატვარი. ამიტომ მადლობა ყველას, რომ ესე მოიწონეთ, მაგრამ რამდენი ხანი კი ცხოვრობს ადამიანი?

სიმართლე ვთქვა, რო გავიგე, რომ ეხლა განსაკუთრებულად უჭირს ბატონ გივის როგორც ფინანსურად, ასევე ჯანმრთელობითაც. მივწერე რამდენიმე ისეთ ადამიანს, ვისაც აქვს იმის შანსი და როგორ ვთქვა, ანუ ბევრჯერ გაუკეთებია ფონდი და დახმარებია სხვას, მაგრამ 2-მა არც მიპასუხა, ერთმა ნახატს შევიძენო, მადლობა ამისთვის მას. ჯერ არც ვიცი, ის ნახატი თუ არსებობს ეხლა და თუ და რამდენად გაყიდიან, ეგ უკვე ოჯახის გადასაწყვეტია, მაგრამ ვფიქრობ, ნახატები არ უნდა გაიყიდოს იმის გამო, რომ ამ ადამიანმა იცოცხლოს და ჯანმრთელობა შეინარჩუნოს და ღმერთის წყალობით ისევ დადგეს ფეხზე, რომ კიდევ ბევრი ესეთი ნამუშევარი აჩუქოს სამშობლოს.

მე არ ვიცი, თქვენი აზრით, როგორ შეიძლება დავეხმაროთ? მთავრობას ვთხოვოთ თუ ჩვენ დავდგეთ ერთად და რაღაც ერთად მოვიფიქროთ. მადლობა წინასწარ, იმედია, ერთად შევძლებთ ჩვენი გენიოსის ფეხზე დაყენებას და დახმარებას.

როცა ვინანებთ, გვიანი იქნება! ეხლა გვაქვს შანსი! უფალმა დაგლოცოთ, ერთად ვაკეთოთ სიკეთე! მის დასახმარებლად ლიბერთი ბანკში გახსნილია სპეციალური ანგარიში.

მადლობა, რომ ბევრმა გამოხატეთ დახმარების სურვილი. ვნახოთ, როგორ ვიცით ქართველებმა გვერდით და ერთად დგომა.“

ნიკა გრიგოლია და ილო ბეროშვილი ახალ შოუს წაიყვანენ

იუმორისტი ნიკა გრიგოლია და მსახიობი ილო ბეროშვილი ახალ შოუს იწყებენ.

„მხოლოდ ქართულის“ წამყვანები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გენერალურ რეპეტიციებს გადიან და მაყურებელთან შესახვედრად ემზადებიან.

„გვიანი შოუ“ – ასე ეწოდება ახალ იუმორისტულ გადაცემას, რომელიც „რუსთავი 2“-ის ეთერში სულ მალე გავა.

ინტერნეტში უკვე გამოჩნდა გადაცემის ქუდი და როგორც მისი შემქმნელები აცხადებენ, ეს იქნება კიდევ ერთი საშუალება, ყოველდღიური პრობლემებით გადაღლილი მაყურებლის გასახალისებლად.

სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის სწავლულ მდივანს, უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, ეკონომიკის დოქტორს ლინა დათუნაშვილს დეიდის

ლეონინა შველიძის

გარდაცვალების გამო.

ლატარიების საგვარეულო იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ალექსანდრე ჯუმბერის ძე ლატარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 30 მაისს, ხობის რაიონის სოფელ ხეთაში.

გივი ჭყოიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი მეზობელი და მეგობარი, ლხინისა და ქეიფის მოყვარული, დიდი ოჯახის თავკაცი

აბესალომ არველაძე

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

დაკრძალვა: 30 მაისს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, გამორჩეული მათემატიკოსი, პუბლიცისტი

თამაზ ჩანტლაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მარიკა კვალიაშვილი 82 წლის გახდა

კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი 82 წლის გახდა.

იუბილე ხელოვანმა ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში აღნიშნა.

საიუბილეო საღამოზე შესრულდა კომპოზიტორის მიერ სხვადასხვა წლებში დაწერილი ცნობილი სიმღერები.

მარიკა კვალიაშვილის შემოქმედებით საღამოში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა თაობის მომღერლებმა.

როგორც იუბილარი კომპოზიტორი ამბობს, მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო და სიხარული მაყურებლის უსაზღვრო სიყვარულია, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობს.

ქორეოგრაფ უჩა დვალიშვილს ვარსკვლავი გაუხსნეს

ქორეოგრაფს უჩა დვალიშვილს თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს.

ფოლკლორის ეროვნული პრემიის, რესპუბლიკური და მსოფლიო ფესტივალების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული ხალხური ცეკვის მკვლევარის, პედაგოგისა და ქორეოგრაფის სახელობითი ვარსკვლავის გახსნამდე, დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ სუხიშვილები, რუსთავი, ერისიონი, ანსამბლი როკვა, ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლი, ანსამბლი სამაია, ანსამბლი ბათუმი, ანსამბლი ხორუმი, ოსეთის სახელმწიფო ანსამბლი, აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი, ანსამბლი იმედი და სიმღერის ანსამბლი ბასიანი.

უჩა დვალიშვილმა დაამთავრა თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი. ის კუიბიშევის კულტურის ინსტიტუტში სწავლობდა.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტზე, იყო სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის პედაგოგი ქორეოგრაფიისა და ცეკვის კომპოზიციის განხრით; შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი, ხელმძღვანელობდა ქორეოგრაფიული ხელოვნების კათედრას თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში, არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ემერეტუსი.

უჩა დვალიშვილმა დააარსა ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“, დადგმული აქვს 40-მდე ქართული და მსოფლიო ხალხთა ცეკვა. მათ შორის კალიფორნიასა და ლოს-ანჯელესში.

თენგიზ ქართველიშვილმა თავისი აფიშები და პლაკატები ხელოვნების სასახლეს საჩუქრად გადასცა



ხელოვნების სასახლეში გრაფიკოსის, პლაკატისტის, ფერმწერისა, თეატრისა და კინოს მხატვარის თენგიზ ქართველიშვილის აფიშებისა და პლაკატების გამოფენა გაიხსნა.

1970-იანი წლების ქართული ფერწერის თავისებურებებს ამ პერიოდის ხელოვანთა შემოქმედება ასახავს, მათ შორის თენგიზ ქართველიშვილი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ქართული კულტურის მიმდინარე პროცესებს, მხატვრულ აზროვნებაში მომხდარ ცვლილებებსა და სტილისტურ მრავალფეროვნებას.

თენგიზ ქართველიშვილი მონაწილეობდა არაერთ რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენაში. მინიჭებული აქვს პრემიები, მედლები და ჯილდოები. ტირაჟირებულია მის მიერ შესრულებული 300-ზე მეტი სხვადასხვა თემატიკის პლაკატი. მხატვრის ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და საზღვარგარეთის სახელმწიფო მუზეუმებში და კერძო კოლექციებში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო როგორც კულტურული ღონისძიებებისთვის, ასევე თავისუფალ თემაზე შექმნილი აფიშები და პლაკატები, რომელიც გამოირჩევა მხატვრული ოსტატობით, იდეისა და ფორმის ჰარმონიული შერწყმით.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი სრული კოლექცია თენგიზ ქართველიშვილმა ხელოვნების სასახლეს საჩუქრად გადასცა.

წინო ჩხეიძე კონცერტების ორგანიზატორებით უკმაყოფილოა

მომღერალი ნინო ჩხეიძე კონცერტების ორგანიზატორებით უკმაყოფილოა და სურს, ჩატარდეს ისეთი კონცერტი, სადაც ყველა მოქმედი მომღერალი მიიღებს მონაწილეობას თავისი სიახლეებით:

– ყველა სიახლეს მივესალმები პროგრესს და უკეთესს, ვიდრე გუშინ იყო, მაგრამ ყოველგვარი ქილიკის გარეშე მაინტერესებს, რატომ არ შეიძლება ყველა მნიშვნელოვან დღესასწაულზე ერთი ისეთი კონცერტიც გაკეთდეს, სადაც ყველა მოქმედი მომღერალი მივიღებთ მონაწილეობას ჩვენი სიახლეებით.

თუნდაც იყოს ცენზურა, მაღალხარისხიანი პროდუქტის სტანდარტის დაკმაყოფილებით, რასაც ამა თუ იმ კონცერტის ორგანიზატორები ითხოვენ. არის ვინმე ამ ქვეყანაში, ვისაც აქვს ამ კითხვაზე პასუხი? ვის დონეზე და რა კრიტერიუმით ხდება შერჩევა არტისტების? რა სტანდარტის პროდუქცია აკმაყოფილებს ყველა დონის და იერარქიაში მყოფ ორგანიზატორებს, ვინც ქმნის დღევანდელ ამინდს.

ისიც არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ რამე მაკლია, ან კონცერტი, ან ხალხის სიყვარული, ან სიახლეები ჩემს პროფესიულ განვითარებაში. მაინტერესებს, ვის აქვს კომპეტენტური პასუხი ჩემს კითხვაზე და დღევანდელ რეალობაზე. რატომ გვიწევს ყველა დღესასწაულზე ერთი და იგივეზე საუბარი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალს ტუალეტში წასვლის შემდეგ საკუთარი ცხოვრების ნაწილი დაავიწყდა

ჰონკონგში ქალს ტუალეტში ყოფნის შემდეგ თავისი ცხოვრების გარკვეული ნაწილი გადაავიწყდა.

ქალს, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, კუჭის შეკრულობა ტანჯავდა და მისი ნათესავების თქმით, ტუალეტში ყოფნის დროს მეტისმეტად დაიძაბა. როდესაც ის ტუალეტიდან გამოვიდა, საკუთარი ცხოვრების ბოლო 10 წელი აღარ ახსოვდა. შეშფოთებულმა ნათესავებმა ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმებმა ქალის ტვინის ფუნქციონირებაში რაიმე დარღვევა ვერ აღმოაჩინეს. რამდენიმე საათში მას მეხსიერება დაუბრუნდა, თუმცა ტუალეტში წასვლის მომენტიდან აღარაფერი ახსოვდა.

ნევროლოგ პენ ცზიაციუნის განმარტებით, ქალს ტრანზიტული გლობალური ამნეზიის ეპიზოდი დაემართა – მეხსიერების მოულოდნელი დაკარგვა ორიდან რვა საათამდე პერიოდში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საყვარელი ავტომრბოლელები ქალს გამდიდრებაში დაეხმარნენ

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ აშლენდის მცხოვრებმა ქალბატონმა ლატარიის ბილეთში ნასქარის საყვარელი მრბოლელების ნომრები ჩაწერა და ჯეკპოტი მოხსნა.

კრისტინა ლაბომბარდმა ლატარიის ბილეთი მაისის დასაწყისში შეიძინა და შეარჩია ციფრების კომბინაცია 3-8-14-20-29. ავტომრბოლელთა ნომრები იღბლიანი გამოდგა ამერიკელი ქალბატონისთვის და მას 100 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

– შოკირებული აღმოვჩნდი! – იხსენებს ლაბომბარდი, – ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როდესაც ეკრანზე ჩემ მიერ ჩაწერილი რიცხვები დავინახე.

გამარჯვებული ქალბატონი მოგებული თანხით ახალი ავტომობილის ყიდვას აპირებს.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

29 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.7811

ევრო — 3.1129

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5275

100 რუსული რუბლი — 4.3157

ამინდის პროგნოზი 29 მაისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

28 მაისიდან

მარკ ტვენი

ტომ სოიერის თავგადასავალი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

21 მაისიდან

ძმები გრიმები

ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

30 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

იუმორი

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– გუშინ ჩემს ქალიშვილთან ვიყავი სტუმრად. როგორი კარგი სიძე მყავს, ყოჩაღი, ნაგავი გაიტანა, პროდუქტების საყიდლად მაღაზიაში გაიქცა!

– ყოჩაღ და დღეს სად იყავი?

– დღეს ჩემს ბიჭთან ვიყავი სტუმრად... ნეტავი არ მივსულიყავი!..

– რატომ?

– ჩემი რძალი ნამდვილი ალქაჯია! ჩემს შვილს წინ და უკან დაარბენინებს, ნაგვის გატანას ავალებს, ხან მაღაზიაში პროდუქტებზე აგზავნის...

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– ანონიმი ალკოჰოლიკების კლუბში გავერთიანდი.

– მერე?

– მესამე დღეა, ვსვამ და არც კი ვიცი, ვისთან ერთად.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ცოლს რატომ არ ირთავ?

– იმიტომ, რომ სულ შენს ცოლზე ვფიქრობ...

– ჩემს ცოლზე?!

– ჰო, მეშინია, მეც მასეთი არ შემხვდეს!..

●●●

მამაკაცი ოფიციანტს ეკითხება:

– თეთრ ღვინოსთან მისაყოლებლად რას მირჩევდით?

– წითელ ღვინოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იურგენ კლოპი: „ჩვენგან ყველა მოგებას ელოდება“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ პრესკონფერენცია გამართა, სადაც ტოტენჰემთან დაპირისპირებაზე ისაუბრა.

კლოპის აზრით, ლივერპული ფავორიტია, მაგრამ ფინალში, შესაძლოა, ყველაფერი მოხდეს, ამიტომ მას ზუსტი პროგნოზის გაკეთება არ შეუძლია:

– ფინალი ყოველთვის განსაკუთრებულია და ყველა გულშემატკივარი ჩვენგან მხოლოდ გამარჯვებას ელის. ძალიან მინდა, რომ ასე მოხდეს, მაგრამ წინასწარ დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი 1 ივნისს გაიმართება.

რეალმა დაადასტურა, რომ სერხიო რამოსს წასვლა სურს

მადრიდის რეალის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ სერხიო რამოსს გუნდიდან წასვლა სურს.

პერესის თქმით, რამოსს ჩინური გუნდი ეპატიჟება, მაგრამ რეალს მისი გაშვება არ სურს და იმედი აქვს, რომ რამოსი გადაიფიქრებს და რეალში დარჩება.

თვითონ ფეხბურთელი ამ თემაზე კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს და ჟურნალისტების კითხვებს გაურბის.

სერხიო რამოსი რეალის ღირსებას 2005 წლიდან იცავს და გუნდთან ერთად მან უამრავი ტიტული მოიგო.

ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი დანი ალვეში იქნება

ბრაზილიის ნაკრებს ახალი კაპიტანი ჰყავს და ის დანი ალვეში იქნება.

მთავარმა მწვრთნელმა ტიტემ ნეიმარს კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა და დანი ალვეშს გადასცა.

ამის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელი ნეიმარით უკმაყოფილოა.

კოპა ამერიკა ბრაზილიაში ჩატარდება და ის 14 ივნისს აიღებს სტარტს.

ბრაზილიის ნაკრები ამ ტურნირის ფავორიტად ითვლება და ამ ტურნირის ვერმოგება ტიტეს, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს, განსაკუთრებით შარშან მსოფლიო ჩემპიონატზე არცთუ წარმატებული გამოსვლის შემდეგ.

გატუზო მილანის მწვრთნელი აღარ იქნება

ჯენარო გატუზომ ოფიციალური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ ის მომავალ წელს მილანს აღარ გაწვრთნის.

გატუზოს თქმით, მისთვის რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ასე უნდა მოქცეულიყო.

გატუზომ კონკრეტულ მიზეზებზე არ ისაუბრა.

– ბოლო წელიწად-ნახევარი ჩემთვის დაუვიწყარი იყო, რადგან ჩემი საყვარელი გუნდის მწვრთნელი ვიყავი. იყო ბევრი კარგი და ცუდი ემოცია, მაგრამ საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება, რომ მილანიდან წავიდე. ვთვლი, რომ ასეა საჭირო, – განაცხადა გატუზომ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. სპორტის ტექნიკური სახეობა – მოტოციკლეტებით რბოლა ყინულზე ან წიდიან ბილიკზე; 2. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 3. ინდური მაგიდის სათამაშო, ჭადრაკის წინამორბედი; 4. პოლიგრაფიული საწარმო; 5. განსაკუთრებით ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 7. ესკალატორის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 11. ბრიტანეთის ნაწილი; 13. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 15. ჭაობში ბინადარი გრძელნისკარტა ფრინველი; 16. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 18. ბრიტანული არაყი; 19. ცურვის ერთ-ერთი სტილი.

თარაზულად: 6. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 8. საღამოს სადილი; 9. საქართველოში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 10. მხარე ბელგიაში; 12. რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 14. უბანი ძველ თბილისში; 17. ესთეტიკური განცდის უნარი, სილამაზის, მშვენიერების გრძნობა; 20. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 21. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 22. დეტექტიური ჟანრის ბრიტანელი მწერალი ქალი; 23. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ჩან ჩან ვან + მა ინ ტონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან ჰი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბეი ფუ დი ჰუანგ ვან + სუნ საო

აუმჯობესებს პოტენციას



ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/